# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 164 შაბათი, 25 ივლისი 1909 წ. № 164

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვა [illegible] «დროების» რედაქციაში და კანტორაში [illegible] კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები [illegible] და მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება. ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ივლისიდან წლის ბოლომდე—5 მ. 10 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

მელანია სტეფანეს ასული შათირიშვილისა, პელაგია ივანეს ასული ოქრომჭედლიშვილისა, ბარბარე ივანეს ასული შოშიაშვილისა, მარიამ სტეფანეს ასული ხოჯაევისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—საყვარელ და დაუვიწყარ მეუღლის, მეორე—ძმის, მესამე და მეოთხე—ძვირფას სიძის

იაკობ ივანეს ძის შათირიშვილისას.

წირვა გადახდილი იქნება ქ. გორში ოქონის ეკლესიაში. დაკრძალვა კვირას, 26 ივლისს სამების ეკლესიის სასაფლაოზე. (2—378—2)

ექიმ ვ. ღამბაშიძის

## სანატორიუმი

გაიხსნა 15 ივნისს. არის რამდენიმე ადგილი მოზრდილთათვის საერთო ოთახებში.

დაწვრილებითი პირობები წერილით ბორჯომს.

Въ мѣст. Боржомъ. Платформа Гамбашидзе, Санаторіумъ Гамбашидзе. (0—14)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი ჯაფარიძისა. (უ)

**ექიმი** ვ. ღამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს ხა დამოთობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, სამარცხე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი), დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—20)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელიძის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—203)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, ხაკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 119)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ახლად გახსნილი

ტფილისის

### კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ი. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ღამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

ბ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—116)

### იყიდება

იაფად საგარაკო ადგილები, თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ თელოვანში (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საგარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საგრძნობლად დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს. (50—ნ.—16)

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში 1 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით 9—1 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—25)

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

იწვევს იმათ, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს სახალხო სახლის ხოროსა და ორკესტრში (ეხლა სდგება), მიმართონ სახალხო სახლის სამუსიკო ნაწილის გამგეს იოსებ გიორგის ძე ტერ-დავიდოვს (ელისაბედის ქ., № 40.

მიღება ყოველ დღე, საღამოთი 6—7 ს. (3—ნ.—2)

**ექიმი** ა. ს. ალადიშვილი ბორჯომში, ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიულ საფაკულტეტო კლინიკისა, იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ერუსლოვსკის ქ., N 34, აგარაკი ზუბალაშვილისა. (25—321—19)


## ტფილისი 25 ივლისი

ჩვენმა წერილებმა ერობის შესახებ შენიშვნები გამოიწვია ადგილობრივ რუსულ გაზეთებში, რომელთა აღნიშვნა საჭიროდ მიგვაჩნია საკითხის უკეთ გამოსარკვევად.

სრულს სიმართლეს ამბობს გაზეთი „ზაკავკაზიე", რომ მცირე საერობო ერთეული თავისუფალი და ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებელი უნდა იქნასო. ერთმანეთში შერევა ადმინისტრაციულ და სამეურნეო ფუნქციებისა, მართლა, ვნების მეტს არაფერს მოიტანს და ამიტომ ამ ერთეულის აღმასრულებელი ორგანო სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს. გაზეთს სრული საბუთი ჰქონდა ეს აღენიშნა, რადგან ჩვენს წერილში ამაზე კრინტი არ იყო დაძრული. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ სხვანაირად არც ჩვენ გვქონდა წარმოდგენილი ეს საკითხი. ჩვენ თავიდანვე ვამბობდით, რომ მცირე საერობო ერთეული უწოდებრივო **სამეურნეო** დაწესებულება უნდა იქნას, რომელსაც საპოლიციო ფუნქციებთან არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს. ამისათვის, რასაკვირველია, საჭიროა საერთო სახელმწიფოებრივი რეფორმა, რომელიც სოფლის საზოგადოებას, სოფლის თვითმართველობას მოაშორებს პოლიციურ დაწესებულების ფუნქციებს. როგორც ბევრგან დასავლეთ ევროპაში, პოლიცია მთელს ტერიტორიაზე ერთიანი უნდა იყოს და სახელმწიფოს ხელში უნდა მოთავსდეს. ადგილობრივი თვითმმართველობა და ადგილობრივი პოლიცია ერთსა და იმავე დაწესებულებაში ამ პირობებში ვერ მოთავსდება... როგორც ვიცით, ამ ჟამად რუსეთში განზრახულია სოფლის ადმინისტრატიულ წესწყობილების რეფორმა; აგრეთვე ლაპარაკიც არის მცირე საერობო ერთეულზე. ამრიგად, ეს საკითხი საერთო სახელმწიფოებრივ მორიგ საქმედ არის აღიარებული და მალე ასე თუ ისე გადაწყდება. თუ ჩვეულებრივ განაპირა ქვეყნები არ გათიშეს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ადგილობრივ მცირე საერობო ერთეულის და სოფლის თვითმმართველობის საქმე გადაწყდება დაახლოვებით ისე, როგორც ამას კარგა ხანია ღაღადებენ საუკეთესო რუსული პრესა და მოწინავე საერობო მოღვაწენი...

ბ-ნი ი. ფ. „ტფ. ლისტოკში" ეხება ჩვენს შეხედულებას საერთო ამიერ-კავკასიის საერობო ერთეულზე და მოჰყავს მოსაზრებანი მის დაარსების საჭიროების შესახებ. ავტორი ამტკიცებს—ამიერ-კავკასიას ბევრი საჭირბოროტო საერთო საკითხი და ინტერესები აქვსო, რომელთა გასაძღოლად სოლქო საერობო ერთეული არის საჭიროო. რასაკვირველია, ჩვენ არ უარვყოფთ ასეთ ინტერესების არსებობას. გადასახლების საკითხი, ირიგაციის საქმე, მაღალ სასწავლებელთა განაჩენის საქმე—ყველა ეს და ზოგი სხვათა საერთო ინტერესს და საერთო საქმეს შეადგენს მთელის ამიერ-კავკასიისთვის. მაგრამ, საკითხავი ისაა: საჭიროა უთუოდ, რომ ამ საერთო საქმეების გასაძღოლად განსაკუთრებითი საერობო ერთეული დაარსდეს თუ სხვა გზით, სხვა საშუალებითაც შეიძლება ამის მოწესრიგებამ? ჩვენ ვფიქრობთ რომ შეიძლება: საჭიროა მხოლოდ, რომ საგუბერნიო ერობათ ნება მიეცეს კავშირების შეკვრისა, წარმომადგენლების კრებების მოხდენისა საერთო საქმეების გასაძღოლად. ამაზე უკვე გვქონდა ნათქვამი, როცა ამ ერთეულზე ვწერდით. ჩვენ ვამბობდით, რომ რუსეთის ერობას დღესა აქვს საერთო საქმეები (общеземскія предпріятія); მაგრამ ამას თითქო არა ლეგალური ხასიათი აქვს; ხანდისხან მთავრობა უკრძალავდა კიდეც ერობათ ამ მოღვაწეობას. ახლა საჭიროა, რომ საერთო კრებების (съѣздъ) და კავშირების ორგანიზაცია დაკანონდეს და ესეთი ორგანიზაცია უკეთ გაუძღვება საერთო საქმეებს, ვიდრე მუდმივი საერობო სოლქო ერთეული. მით უმეტეს არ არის საჭირო ასეთი მუდმივი დაწესებულება, რომ მისი შენახვა დიდ ხარჯს მოითხოვს.

ასე შეხედა ამ საკითხს თვით იმ სექციამაც, რომელიც ახლა მუშაობს: გუშინდელს კრებაზე თითქმის ერთხმად უარჰყვეს საერთო სოლქო ერობის დაწესების საჭიროება ამიერ-კავკასიაში იმ მოსაზრებით, რომ საერთო საქმეების გასაძღოლად საერთო საერობო კრებების და დროებით კავშირების ორგანიზაცია ამჯობინეს.

ბ. ი. ფ. იმაზედაც გვეკამათება, რომ ჩვენ ორ სოლქო ერობას მივეცით უპირატესობა ერთთან შედარებით. როგორ შეიძლება ერთ ერთეულში მომწყვდევა ისეთ განსხვავებულ ნაწილებისა, როგორიც არიან მაგალითად, დაღესტანი და ყარსის ოლქიო? უნდა ვაღიაროთ, რომ ამას არც ჩვენ ვუსვამთ ხაზს და მაინც და მაინც დაჟინებით არ ვიცავთ იმ ჩვენ აზრს. ჩვენთვის პრინციპიალური მნიშვნელობა იმას აქვს, რომ სამეურნეო საქმეთა მოსაწყობად უფრო ხელსაყრელია მსგავს, ერთგვარ მეურნეობისა და კულტურის ადგილების შეერთება ერთ ერთეულში; ხოლო ორ სოლქო ერთეულად თუ სამ სოლქო ერთეულად დაიყოფება ამიერ-კავკასია ან რომელ ერთეულში მოჰყვება დაღესტანი თუ ტფილისის გუბერნია—ეს სულ სხვა საკითხია, უფრო პრაქტიკის, ვიდრე პრინციპის საკითხი და ამის გამორკვევა შემდეგაც შეიძლება, როცა პრინციპიალურ საკითხებში შევთანხმდებით... ვგონებთ, ბ-ნი ი. ფ. დაკმაყოფილებული უნდა იყოს ჩვენის განმარტებით და არც ის გამოიდებს მაინცა და მაინც თავს ამიერ-კავკასიის საერთო სოლქო ერთეულის დასაცავად, თუ მხედველობაში მიიღებს იმ მოსაზრებით, რომელიც ზემოდ აღვნიშნეთ გაკვრით და რომელზედაც შემდეგში უფრო ვრცლად გვექნება ბაასი, როცა ჯერი მიდგება ჩვენ-ჩვენ პროექტების დეტალიზაციაზე.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

როდესაც ჩვენ პირველად ბ-ნთ ანტონ ფურცელაძეს, ჩოლაყაშვილს და სხვებს შევეხეთ, რომელთაც სათავად-აზნაურო ბაღში მომხდარ ინციდენტის გამო ერთი აურ-ზაური ასტეხეს, გაზეთი „ჩანგი" დაემოწმა ჩვენ აზრს. იგი მაშინ სწერდა (№ 14):

> 5 ივლისის ინციდენტის შესახებ კამათი დღემდე არ შეწყდარა. ბ. ან. ფურცელაძეს რატომღაც ბ. ქრ. ხაჩატუროვის ცამდე შექება დასჭირდა და სათავად-აზნაურო ბანკის მხსნელად გამოიყვანა. თ. დ. ჩოლაყაშვილმა «ზაკავკაზიეში» ამაზე პათეტიური წერილით მიმართა ილია ჭავჭავაძის, გ. მაჩაბლის და დ. ყიფიანის თანამედროვეთ. აღედგინათ შელახული სიმართლე, თუმცა მათ მოღვაწეობას ბ. ან. ფურცელაძის თანაგრძნობის წერილში გამოთქმული აზრები ვერ შელახავდა. ეს აღნიშნა კიდევ „დროებამ".

როგორცა ჰხედავთ, „ჩანგი" სავსებით დაგვეთანხმა და თითქმის ჩვენი სიტყვებით გადაიღო ჩვენ მიერ გამოთქმული აზრი. სულ სხვანაირად მოიქცა „ჩანგი" ეხლა, როდესაც ანტ. ფურცელაძის პასუხი წაიკითხა. მან გადმოიღო ანტ. ფურცელაძის წერილიდან ჩვენი ლანძღვაგინება და არავითარი შენიშვნა არ გაუკეთა იმის მეტი, რომ შოვინისტური გაზეთები ბაღში მომხდარ ინციდენტით იკვებებიანო. ვფიქრობთ, რომ „ჩანგი" ასე არ უნდა მოქცეულიყო, და თუ მაინცა და მაინც უნდოდა ჩვენი ლანძღვა თავის მკითხველებისთვისაც გაეცნო, უსათუოდ ის შენიშვნა მაინც უნდა გაეკეთებინა, რომ სადაო საკითხში ან. ფურცელაძე მართალი არ არისო, რადგან, ვიმეორებ, ანტ. ფურცელაძეზე ორივემ ერთი და იგივე აზრი გამოვთქვით და თუ ბ-ნმა ფურცელაძემ ჩვენი აზრი შემცდარად სცნო, მაშასადამე, შემცდარი ყოფილა „ჩანგის" აზრიც.

* * *

გუშინდელ „ჩანგში" დაბეჭდილია:

> „სორაპნის" სტამბიდან, სადაც „გუშაგი" იბეჭდება, ვიღაცამ მოიპარა სტატია „გააწნეს" «ლტისკი» ცენზორის რეზოლიუციით და თან მიაყოლა მეორე წერილის „ვინ იყო დამნაშავეს" ლტისკი". გაზეთი „ზაკავკაზიე" N 113 აცხადებს, რომ ეს «ლტისკები» ჩვენ ხელთა გვაქვსო. აღშფოთებული ამ გვარი საქციელით მივმართავთ «ზაკავკაზიეს» რედაქტორს, ბ. ამირეჯიბს, დაგვისახელოს ის წყაროები, საიდანაც ჩაუვარდა ხელში მას ეს «ლტისკები» და რით ამართლებს მის ასეთ საქციელს.
>
> „გუშაგის" რედაქციის კოლეგის წევრნი: (ხელს აწერს 5 კაცი)

ლაპარაკი არ უნდა, რომ ასეთი საქციელი საკადრისი არ არის და „გუშაგის" რედაქციის კოლეგიის წევრთა აღშფოთებაც კანონიერია. მაგრამ ერთის კითხვით უნდა მივმართოთ ამ კოლეგიის წევრთ: რატომ ასევე არ აღშფოთდნენ და არ გამოაცხადეს გაზეთში თავიანთი აღშფოთება მაშინ, როდესაც თავიანთ ამხანაგის და თანამეკალმის ბ-ნ მიმინოს საქციელი გაიგეს? ასე მოიქცა და სრულად სამართლიანადაც „ჩანგის" რედაქცია. მან გამოაცხადა, რაკი მიმინოს მექრთამეობას აბრალებენ, ჩვენ განზე ვდგებით იმისაგანაო, ხსენებული კოლეგია-კი დღესაც სდუმს, თუმცა, როგორც წინადაც ვთქვით, თვით ბ-ნ მიმინოს წერილიდან ყველაფერი აშკარაა...

## დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

23 ივლისი

### სპარსეთი

**ლონდონი.** შირაზში წესიერება ჯერაც ვერ აღადგინეს. საკონსულოს დამცველი რაზმი გააძლიერეს 50 ჯარის კაცით და რამდენიმე ტყვიისმტყორცნელით.

**თეირანი.** პოლკოვნიკი ლიახოვი პეტერბურგში წავიდა.

24 ივლისს ენზელში ჩამოვა ზილლი-სულთანი.

გუბერნატორმა არდებილში გაჰგზავნა 200 ცხენოსანი ჯარის კაცი. რაზმს უფროსობს სერდარ ფატხუს-სულთანი.

სატუსაღოში სიკვდილით დასაჯეს 14 მოლლა და სეიდი. ყველა ამათ ყელში თოკები წაუჭირეს და დაახრჩეს. სახალხოდ ალარავის დასჯიან.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატა. პალატა ბიუჯეტის განხილვას განაგრძობს. პალატის სესია პირველ აგვისტოს დამთავრდება.

რუსეთისა და ინგლისის ელჩებმა ჩარიკოვმა და ბომბარმა, პირველ დრაგომანების თანხლებით ინახულეს პარლამენტი, სენატისა და პარლამენტის თავმჯდომარენი საიდ-ფაშა და ახმედ-რიზა.

**ვენა.** „კორესპონდენტ-ბიუროს" სოფიიდან ატყობინებენ: სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ მეფე ფერდინანდი ენკენისთვეში სტამბოლს წავა და სულთანს ინახულებს.

**პარიზი.** რეიტერის სააგენტოს სტამბოლიდან ატყობინებენ: 22 ივლისს მინისტრთა საბჭომ დაადგინა, ოთხი დღე მოუცადოს კრიტეს მფარველ სახელმწიფოების გადაწყვეტილებას და შემდეგ, თუ საქმე მოითხოვს, საბერძნეთის მთავრობას მოსთხოვოს, კუნძულ კრიტედან იქაურ მილიციაში მოსამსახურე ბერძენ ოფიცრების გაყვანა.

### საზღვარ-გარედ.

**სტოკჰოლმი.** 22 ივლისს მუშაობა შესწყვიტეს ქალაქის რკინის გზების მოსამსახურეებმა და მეეტლეებმა. ელექტრონის სადგურს და გაზის ქარხანას ჯარი იცავს.

**მაინის-ფრანკფურტი.** დილის 4 საათსა და 40 წუთზე ჰაეროპლანი „ცეპელინ მეორე" კელნისკენ გაფრინდა.

**კოუსი.** რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტმა ისაუბრა რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს იზვოლსკისთან. იზვოლსკიმ კორესპონდენტს ინგლის-რუსეთის კავშირის შესახებ შემდეგი გადასცა: რუსეთს და ინგლისს კარგი განწყობილება აქვთ. ჩვენი პოლიტიკა ნათელი და აშკარაა. რომ ამ სახელმწიფოების დამეგობრება კარგ ნაყოფს გამოიღებს, ეს უკვე დაამტკიცა მათმა შეთანხმებითმა მოქმედებამ სპარსეთში ამ დამეგობრებას უნდა მიეწეროს ის, რომ სპარსეთის საქმეები კარგად დაბოლოვდაო. ახლო აღმოსავლეთის შესახებ იზვოლსკიმ სთქვა: ჩვენ გულწრფელად გვსურს, რომ ოსმალეთში ახალი რეჟიმი განმტკიცდეს და ახლო აღმოსავლეთის საქმეები რიგიანად მოეწყოსო. რაც შეეხება კუნძულ კრიტეს, მფარველმა-სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს, საქმის ეხლანდელი მდგომარეობა არ შესცვალონ და ოსმალეთის უზენაესი უფლებები დაიცვან ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საქმე მშვიდობიანად დაბოლოვდებაო.

**საიგონი.** 21 ივლისს მეანგების ბრბო თავს დაესხა პოლიციის სადგომს. მოჰკლეს პოლიციის უფროსი და ხუთი მილიციონერი, დასჭრეს რამდენიმე კაცი.

**მელილა.** მავრები თავს დაესხნენ ესპანელთა ჯარის სატრანსპორტო რაზმს, რომელსაც ჯარისთვის სურსათი მიჰქონდა. მოჰკლეს რამდენიმე სალდათი.

**სტოკჰოლმი.** მატროსების პროფესიონალურმა კავშირმა დაადგინა, აღარ იმუშაოს სამგზავრო გემებზე. ნავები და საბუქსირო გემები არ დადიან. გოტებორგიდან იუწყებიან, რომ საყასბოების მუშები გაიფიცნენ.

**კელნი.** დილის 11 საათსა და 45 წუთზე აქ დაეშვა ჰაეროპლანი „ცეპელინ მეორე".

### რუსეთი

**ეკატერინოდარი.** 22 ივლისს სოფელ კოზეტში დიდი ცეცხლი გაჩნდა. ჰქროდა დიდი ქარი, რამაც ცეცხლი გააძლიერა. ზარალი დიდია. დაიღუპა რამდენიმე კაცი.

**სიმფეროპოლი.** ყირიმში დიდი სიცხეებია. სიცხე 50 გრადუსამდე ადის. ევპატორიის მზემ დაჰკრა სამ გლეხს.

**პეტერბურგი.** უმაღლესად დამტკიცდა მინისტრთა საბჭოს დადგენილება. ამ დადგენილებით სავაჭრო მინისტრს უფლება აქვს საჯარო ვაჭრობა არ მოახდინოს და სხვა და სხვა პირებს 12 წლის ვადით იჯარით მისცეს ადგილები კავკასიის სამკურნალო წყლებზე. სულ 25 ნაჭერია, ზომით ერთიდან ორ დესეტინამდე. მოიჯარადრეებმა იჯარით აღებულ ადგილებზე უნდა აავონ ისეთი სასოფლო-სამეურნეო შენობანი, რომელნიც კურორტებს სარგებლობას მოუტანენ.

### ხოლერა

**პეტერბურგი.** 23 ივლისს ხოლერით ავად გახდა 28, გარდაიცვალა 12, ავად არის 478 კაცი.

**პეტერბურგი.** არხანგელსკში ავად გახდა 4 კაცი; რიგაში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 3 კაცი; რიბინსკში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 3 კაცი.

**ხარკოვი.** სენის დაწყებიდან აქნობამდის ლებედინსკის მაზრაში ავად გახდა 15, გარდაიცვალა 8 კაცი.

**ვალკი.** ავად გახდა ერთი კაცი.

**პერმი.** მოტოვილიხინის ქარხანაში ავად გახდა ერთი მუშა.

## სოფლად

(მომრიგებელ-შუამავალთა საყურადღებოდ)

დღეს სოფლის ავი და კარგი შუამავლების ხელშია, სოფლის ავლადიდებაც მათ ექვემდებარებათ, სოფლის შესავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვაც მათ კონტროლის ქვეშაა.

ესაა მხოლოდ, რომ შუამავალნი არა სარგებლობენ თავიანთ უფლებებით, ესე იგი არ ჰპატრონობენ სოფელს. თავს არ იწუხებენ, რომ წურბელებისაგან დაბეჩავებული სოფელი იხსნან.

თუ ბიუროკრატობას არ გაჰყვებიან და ცოტათი მაინც სოფლისთვის გულკეთილობას გამოიჩენენ, აუცილებლად მათ ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ სოფლის სასარ-

გელოდ. არც დიდი შრომა დასჭირდებათ, ბრძანების მეტი კი არა უნდათ-რა.

ყველას კარგად მოეხსენება სოფლის ავლა-დიდება, მისი სილატაკე ეს სამი წელიწადია. სოფელი განიცდის საშინელ ეკონომიურ კრიზისს ცალკე-მოუსავლობით და ცალკე ეხლანდელ სასტიკის დროთა-ვითარებით.

სოფელს ერთი-ორად და სამად მოემატა ხარჯი მოხელეების შესანახად. სოფლელნიც ხმა ამოუღებლად იხდიან, ხოლო არ უწყიან რაში იხარჯება ეს ფული. სოფლის მოხელეების ხარჯთ-აღრიცხვას შუამავალნი კანტროლს უკეთებენ და ამტკიცებენ. ამის გამო, ერთი შეხედვით, ჩვენც, ყველანი არხეინად უნდა ვიყვნეთ, რადგან, შუამავლის წყალობით გლეხის გროშებს თავისი დანიშნულება მიეცემა და ერთი შანაც არ დაიკარგება.

მაგრამ ნამდვილად საქმე ასე არ არის.

მომრიგებელ-შუამავლების გული და ყური იქითკენაა მიქცეული, რომ სოფლის მოხელეებისათვის ფული იყოს სრულად მოკრეფილი და ხაზინაში ჩაბარებული. იმას-კი აღარ იძიებენ, რამდენს და როგორ მოჰკრეფენ.

დასარწმუნებლად ავიღოთ ბრეთის საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვა. ბრეთის საზოგადოებაში ხარჯის გამღები ითვლება 660 კომლი. ამ სამი წლის განმავლობაში თითო კომლი იხდიდა მოხელეების დასაკმაყოფილებლად 4 მ. 80 კ. მაშასადამე, ბრეთის საზოგადოებას გამოაქვს სასოფლო სამმართველოსი და მოხელეების შენახვისათვის 3168 მ. ნამდვილად კი იხარჯება მოხელეებზე, კანცელარიის საქმეებზე და სახლის ქირაზე სულ 2424 მ. ამ ანგარიშით საზოგადოებას ყოველ წლივ უნდა დარჩენოდა 744 მან. სამი წლისა ერთად შეადგენს 2232 მანეთს.

არავინ უწყის, ეს ფული სად არის და ან სად ინახება!..

ახლა ატოცის საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვაც განვიხილოთ: ამ საზოგადოებაში ხარჯის გამღები ითვლება 600 კომლი. თითო კომლი 1906—1908 წლებში იხდიდა ხუთ მანეთს, წელს კი—3 მ. 80 კ. ამ ანგარიშით ატოცის საზოგადოებას სამი წლისა ერთად გამოუტანია მოხელეების და სასოფლო სამმართველოს შესანახად—8280 მან. ამავე დროს მოხელეებზე და კანცელარიის საქმეებზე დაუხარჯავთ—5880 მან., მაშასადამე, ანგარიშით საზოგადოებას ფული კიდევ უნდა დარჩენოდა —2400 მან.

არც ეს ფული სჩანს!

ოქონის საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვიდან, როგორც წინა წერილებში ვწერდი, გამოირკვა, რომ ყოველ-წლივ საზოგადოებას გადახდილ ფულიდან უნდა დარჩენოდა 390 მ.

თუმცა მომრიგებელ-შუამავალმა მესამე განყოფილებისამ განაცხადა თავის პასუხში: „დღეის ამას იქით მაგისთანა ისტორიკოსებს მე პასუხს აღარ ვაღირსებო“, მაგრამ ფაქტიურად პასუხი გამცა, ესე იგი ოქონის საზოგადოებას წრევანდელ წლის მეორე ნახევრის მოხელეების ფულის ანგარიშში იმდენი შეაწერეს, რომ ეს ზედ-მეტი ფული—390 მ., რომელიც რჩებოდა ყოველ-წლივ ხარჯს, აღარ გასწერეს.

ესეც კარგია! Legatus.

## მეგობრის საფლავისაკენ!

(ვლადიმერ ლორთქიფანიძის ხსოვნას)

რა უბედური უნდა იყოს ის ადამიანი, რომელსაც მწვავე გრძნობა გულს აწვება და ვერც სიტყვით, ვერც ცრემლით მცირეოდნადაც ვერ ინელებს წყლულს. არის ისეთი სულიერი მდგომარეობა, როცა სიჩუმე შეუძლებელია: ყოველ ზომაზე გადასული ტანჯვა, მწუხარება უნებლიეთ ამოჰკვნესის მოთხოვნილებას იწვევს. ყოველგან ადამიანური გრძნობა-განწყობილება თითქმის ერთნაირად გამოიხატება, მაგრამ ჩვენისთანა განსაკუთრებულ, ბედ-შავ პირობებში მყოფ საზოგადოებაში ყოველ კაცობრიულ ცხოვრების მოვლენა განსხვავებულ - გამწვავებულ მნიშვნელობისაა: როდესაც საწყალს, გარემოებით შევიწროვებულს, გარეშე პირობების სუსხიანი გავლენით დატანჯულს, დაკნინებულს და ღარიბ საზოგადოებას საერთო ასპარეზზე მუშაკთა მცირე წრიდან საუკეთესო, გულ-წრფელი, საიმედო, მედგარი და უანგარო მოღვაწე გამოაკლდება, რა თქმა უნდა, სასაშინლო, გულ-გამტეხ, დამაუძლურებელ განწყობილებას განიცდი.

ყველგან ნორმალურ პირობებში მყოფ საზოგადოების წევრი, თუ კი იგი გულწრფელი მოსურნეა საერთო ასპარეზზე მოღვაწეობისა და თუ თანაც მას საკმაო ნიჭი, სულიერი ძალა და დროის შესაფერი მომზადება შესწევს, ფართო და სასურველ ნიადაგს პოულობს სამოქმედოდ: მას ყოველივე გარემოება ხელს უწყობს და მისი მცირედი შრომაც საზოგადოებისათვის თვალსაჩინოა. ჩვენში კი, რადგან ცხოვრებისათვის საჭირო პირობებს მოკლებულნი ვართ, იშვიათის ბუნების, განსაკუთრებულ ნიჭის და სულიერ თვისების ადამიანებიც კი საზოგადოების უმრავლესობისათვის თითქმის შეუმჩნეველნი რჩებიან. რაღაც ბედკრულ განგებისაგან დაწყევლილია ქართველ ახალგაზდობის ხვედრი: საშიშარი და სატირალია ის, რომ ყოველი კეთილი, იშვიათი, სასარგებლო, მდიდრულ ადამიანურ თვისებანით აღსავსე პიროვნება ჩვენს უფერულ ცხოვრებაში იკარგება, ითქლება, იხრჩობა. რაც უფრო კეთილშობილია, სათუთი, ნაზი, თავისებური, გულ-წრფელი, ჩვენებური პიროვნება, მით უფრო სატანჯველია, სამძიმო, საძნელო და აუტანელი მისი ცხოვრება ჩვენებურ საზოგადო ასპარეზზე.

არავითარი სასჯელი ისე გამლახველი, დამჩაგვრელი არ არის ადამიანისთვის, როგორც გრძნობა იმისა, რომ შენი ნიჭი, შენი ძალა ვერა სწვდება, ვერ უახლოვდება იმ მიზანს, რომლის განხორციელებასაც გინდა თავი შესწირო. ჩვენებურ ახალგაზდობის მდგომარეობა წააგავს ხვედრს იმ ომისათვის მომზადებულ და გამგზავრებულ ჯარის კაცს, რომელიც საბრძოლველ ასპარეზზე მისვლამდის, ხომალდის დაღუპვის გამო, ზღვის ტალღებთან ბრძოლაში იხრჩობა.

ყველგან ჩვეულებრივ, კეთილ გარემოებაში მყოფ საზოგადოების წევრი საერთო მოვალეობის ასრულებით თავის პირად ცხოვრების საქმესაც აკეთებს, აწყობს, ახერხებს. ჩვენში კი პირადი ცხოვრება ხშირად მსხვერპლად უნდა შესწირო საერთო საქმეს, თუ გინდა რომ მცირედი სარგებლობა მოუტანო საზოგადოებას. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ვლადიმერ ლორთქიფანიძისთანა ახალგაზდა მოღვაწე სადმე სხვა, ნორმალურ პირობებში მყოფ ქვეყანაში დიდ ხანსაც გასძლებდა და საზოგადოებასაც უფრო მეტად დააჩნდებოდა მისი შრომა-მეცადინეობა. უბედურია ის მოღვაწე, რომელსაც გარეშე პირობები არა თუ ხელს არ უწყობს მოქმედებისათვის, არამედ ყოველნაირ ხიფათს და დაბრკოლებას უმზადებს. უბედურია ის საზოგადოებაც, რომლისადმი ერთგულობა, სასარგებლო მოქმედება იწვევს მსხვერპლს საუკეთესო მის წევრებისაგან. რაღაც აუტანელი, მწარი და საშიში გრძნობა ებადება ეხლანდელ მოაზრე ქართველს, როცა საერთო ასპარეზზე მოღვაწეთა მცირედ ჯგუფს ერთგული და მუყაითი მუშაკი ეკარგება, აკლდება უმადურ სასტიკ ცხოვრების პირობის გავლენით. თითქოს შენც წილი გდოს იმ უსამართლობაში, იმ ცხოვრების სისასტიკე სიმწარეში, რომელიც სთელავს, ღრღნის და აქარწყლებს საუკეთესო მუშაკთ.

ასეთი გრძნობა მიღრღნის გულს მეც ვლადიმერ ლორთქიფანიძის უდროვოდ დაკარგვის გამო. მაგრამ ეს საერთო ხასიათის გრძნობა ერთი ორად უფრო გამწარებულია ამ შემთხვევაში ჩემთვის მით, რომ ამ საზოგადო მოღვაწესთან შეკავშირებული იყო საუკეთესო, გრძნობის აღმაფრთოვანებელი, სიყრმის ჟამში შთანერგილი და დამკვიდრებული მეგობრული განწყობილება ჩემი.

რა თქმა უნდა, ძნელია, უხერხული, უადგილო ბეჭვდითი სიტყვის მეოხებით პირად გრძნობის გამოხატვა, მაგრამ ახლობელ მეგობრის აზრი საზოგადო მოღვაწის პირად თვისების გამოსარკვევად ხშირად დიდად საჭიროა და სასურველიც. ხალხის, ერის სულიერ ძალის ასახსნელად მარტო ლიტერატურულ, ან მწერლობით ნაშთის შესწავლა არა კმარა: უფრო ხშირად კერძო პიროვნების თვისება, რთულ ხასიათის დაკვირვება ბევრ საბუთს იძლევა რომელისამე საზოგადოების, ან ერის კულტურულ მნიშვნელობის გამოსარკვევად: როგორც ბეტჰოვენის ან ვაგნერის მუსიკა არ შეიძლება გაჩნდეს გოტენტოტურ საზოგადოების პირობაში, ისე ღრმა, ყოველსავე საზოგადოებრივ თვისებით აღსავსე პიროვნება შეიძლება დაიბადოს მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში, რომელსაც რამდენიმე საუკუნე უცხოვრნია და გონებრივი წრთვნა-განვითარების პროცესსი განუვითარებია დიდის ხნის მეცადინეობის მეოხებით ცხოვრების გადაგვარება მხოლოდ კერძო პიროვნების, მტკიცე ტიპის დაკნინება-დამცირება-გაქარაფშუტებით ხდება: თანდათან მრავლდება ჩვენში უფერული, თავისებურობას მოკლებული, შაბლონიური ტიპი. განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია უდროოდ დაკარგულ ლორთქიფანიძის ბუნებრივი თვისება—ხასიათი: სადარბაისლო გარემოებაში—დინჯი, დაკვირვებული, წყნარი, აუჩქარებელი; საერთო შრომა-მეცადინეობაში—მიმყოლი, ღამჯერი, მუყაითი, სამძიმო შრომის ამღები, მცირედ მნიშვნელოვან თანამდებობით—როლით კმაყოფილი, ვლადიმერ ლორთქიფანიძე ერთი ისეთი იშვიათი ქართველთაგანი იყო, რომლისათვისაც პატივმოყვარეობა არ არსებობდა: მთელ ამ უკანასკნელ თოთხმეტი წლის განმავლობაში არც ერთი წელიწადი არა ყოფილა ისეთი, რომ ვლადიმერს ჩვენებურ ჟურნალ-გაზეთებში საგრძნობელი, შესამჩნევი თანამშრომლობა არ გაეწიოს, მაგრამ მისი სახელი კი თითქმის არსად სჩანს და უმრავლეს ნაწილს ჩვენებურ მკითხველ საზოგადოებას შეიძლება არც კი გაეგოს დღემდის, რომ იგი ერთი გულწრფელი, შეგნებული, დროის შესაფერად მომზადებული მუშაკი იყო, საწერლო და სამოსწავლო ასპარეზზე. პრინციპიალურ საკითხებში შეურყეველი იყო, მაგარი გამბედავი, მხნე; ყოველსავე გარემოებაში სანდო, საიმედო, გამტანი, გამძლე; ცხოვრებრივ განწყობილებაში გრძნობის მიმზიდველი, გატაცებული, მომხიბლავი, გულკეთილი, საუკეთესო ამხანაგი, მეგობარი—ერთის სიტყვით კაცური კაცი. რაც უნდა გულ-გატეხილი, უხალისო, უიმედო განწყობილებაზე ჰყოფილი ყავით საერთო საქმის, ან საამხანაგო შემთხვევის გამო, საკმაო იყო ლორთქიფანიძის ერთი საყვედურის კილოთი მომმართვა განრისხება, რომ ერთბაშად დაგვევიწყნა ყოველივე უსიამოვნება და კვლავ გატაცებით შევსდგომოდი საქმეს.

რაღაც უნებლიეთი სინდისის ქეჯნა, გულის სიღრმემდის ჩამწვდენი მწარე გრძნობა გაწუხებს, როცა ჰხედავ, რომ შენ შერჩი აუტანელ ცხოვრების პირობას და ამით, თითქოს კმაყოფილი ხარ! მერწმუნე, საყვარელო მეგობარო, რომ ჩვენთვის, შენი სიყრმიდან შეთვისებულ მეგობრისათვის შენი გამოკლება აუწერელად სატანჯველია: უბედურია ის, ვინც ჰკარგავს საყვარელ ადამიანს და თანაც ჰხედავს უნაყოობის, უნიადაგობას თავის ცხოვრებისას [illegible] ლოდ მეტად ვიტანჯოთ, მეტად ვიწვალოთ ჩვენ [illegible] რებაში და, სავსებით დაქანცულებმა, ჩვენი უხალისო, სამძიმო მოღვაწეობისაგან შევნატროთ შენს ხვედრს!

ყოვლად შეუძლებელია სიტყვით გამოთქმა იმ მწუხარებისა, რომელსაც ვგრძნობ ამ ჟამად, ჩემო საყვარელო მეგობარო, შენი ასე უდროოდ დაკარგვის გამო, მაგრამ უწყალო ხვედრმა, ბრმა შემთხვევამ, მოულოდნელ გარემოებით უცხოეთში ყოფნის გამო, წამართვა ერთად-ერთი მოსაოხებელი საშუალებაც: საყვარელ ადამიანის კუბოზე ცრემლის დაღვრა-დატირება.

მშვიდობით საყვარელო, ახალგაზდურის გრძნობით შეთვისებულო, ჩვენი ცხოვრების ბედნიერ ხანაში მჭიდრო, წაუშლელ კავშირით სულიერად დაძმობილებულო ძვირფასო ამხანაგო და მეგობარო!

ოდესა. **ნიკო თავდგირიძე.**

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

— **ერობის შესახებ.** 23 ივლისს საღამოთი ტფ. ქალაქის გამგეობის დარბაზში, გ. ბ. გვაზავას თავმჯდომარეობით, პირველმა სექციამ განაგრძო თათბირი ერობის ტიპის შესახებ. სხდომას დაესწრო 20-მდე წევრი სექციისა. კამათში მონაწილეობა მიიღეს ა. ხატისოვმა, დემიდოვმა, ივ. აბხაზმა, ვ. ი. რცხილაძემ, ვ. ყიფიანმა, ფიშერმა, ივ. ზურაბიშვილმა, ა. ქალანთარმა, მ. გედევანიშვილმა და სხვებმა. ბ-ნი ხატისოვი ამტკიცებდა უპირატესობას მცირე საერობო ერთეულისას, შემდეგ სამაზრო და ოლქობრივ ერობისას. მისის აზრით, შეიძლება მთელი კავკასიისთვის ერთი ერობა არ იყოს, შეიძლება რამდენიმე მაზრისა ანუ გუბერნიის შეერთდეს. ბ-ნმა ქალანთარმა განაცხადა, რომ ვიდრე მთელს მასალას არ შევკრებთ, ძნელია რისამე გადაწყვეტა. ჩემის აზრით მცირე სექციამ იმდენი პროექტი უნდა შეიმუშაოს რამდენი მოსაზრებაც აქ გამოითქმება. შემდეგ საგუბერნიო კრება შეიმუშავებს ერთ ტიპს ერობისას. დანარჩენ ორატორების უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ზემოდ აღნიშნულ მოსაზრებისა, უმრავლესობამ უარჰყო საოლქო

# ხ ო ლ ე რ ა

განთქმული აზიელი სტუმარი, ხოლერა მეტად საშინელია თავის სიმკაცრით და სიწრაფით, ამიტომაც ხალხს ხოლერისა უფრო ძლიერ ეშინიან, ვიდრე ჭლექისა.

სამშობლო ამ ღვთის-რისხვა ჭირისა ინდოეთია. პირველად 1829—1837 წლებში ინდოეთიდან ესტუმრა ევროპას და, ისეთის საშინელის სიმკაცრით და სისწრაფით მოედო მთელს ქვეყანას, რომ ადამიანიშვილის სრულს განადგურებას ლამობდა. თავზარ-დაცემულ ხალხს ხოლერამ სრულებით დაავიწყა რაც მას უწინ დღე დააყარა ჟამმა და შავმა ჭირმა. ხოლერა რამდენსამე წელიწადს მძვინვარებდა და მთელი სოფლები დააცარიელა. დროებით მიიმალებოდა, მიჩუმდებოდა, მერე ისევ იფეთქებდა—შეუბრალებლად, ცელივით სთიბავდა ადამიანთა სიცოცხლეს. ასეთს ძრწოლის და შიშის ქვეშ იმყოფებოდა მთლად ევროპა 10-15 წლის განმავლობაში.

ძლიერ დაფაცურდა განათლებული ევროპა, მისმა მეცნიერებმა თავგანწირვით აამოძრავეს მთელი თავიანთი ნიჭი და ძალა, მაგრამ ვერას გზით ვერ გაუგეს ამ საარაკო ჭირს ვერც თავი და ვერც ბოლო. როგორც იყო, ჭირი თავის თავად ჩაჰქრა, მთელი ათი წელიწადი აღარ შეუწუხებია ევროპა.

1863 წელს ხოლერა კვლავ ამხედრდა, კვლავ ემუქრებოდა ევროპას მთლად განადგურებას. მაშინ ევროპის ყველა სახელმწიფოებმა შეჰკრეს კავშირი, გამოსცეს სავალდებულო საერთაშორისო წეს-კანონები. წინად ამბობდნენ—„მეზობლის ჭირი, ლობეს ჩხირიო“; ეხლა კი ძლიერი სახელმწიფო სუსტს შეელოდა, რომ სწრაფლ ჩაექრო ცეცხლი, რადგან იცოდა იმასაც მოედებოდა. ერთის სიტყვით ევროპაში დადგა ახალი ხანა—საძირკველი ჩაედგა ჰიგიენურ და სანიტარულ წეს-კანონებს. დიაღ, თუმცა ასეთის სამზადისით გაუმასპინძლდა ევროპა ინდოელ წყეულ სტუმარს, მაგრამ მაინც ვერას მიჰხვდნენ, ბნელში პოტინობდნენ გარკვევით არ იცოდნენ ვისთან და რასთან ჰქონდათ საქმე.

1881 წელს გერმანიამ დიდი ღვაწლი დასდო მთელს კაცობრიობას. გერმანიის მთავრობამ მოიწადინა, ხოლერის სახსენებელი სრულებით ამოეწყვიტა ევროპაში. ხსენებულ წელს მთელი სამეცნიერო ექსპედიცია შეადგინა, რომელსაც მეთაურობდა სახელმწიფო სასანიტარო საბჭოს წევრი, აწ განთქმული მეცნიერი რობერტ კოხი. ექსპედიციის მიზანი იყო ხოლერის სამშობლოში ინდოეთსა და ეგვიპეტში, ადგილობრივ, სათავეშივე გაეცნო ხოლერის ვითარება და მისი გაჩენის მიზეზი. ბევრი კვლევა-ძიების შემდეგ, ხოლერიან ავადმყოფის წელებში და მის განავალში კოხმა აღმოაჩინა უცნაურ მოყვანილების ბაცილა, რომელიც მძიმესა (,) ჰგავს, მერე იქვე ინდოეთში გამოიკვლია ადგილობრივი ანტისანიტარული, პირობები იქაური მდინარენი და ტბები, საიდანაც ხალხი სასმელად წყალს ხმარობს, და ამ წყალშიაც იგივე ბაცილები აღმოაჩინა კოხმა. ამ აღმოჩენამ მთელი კაცობრიობა ფეხზე დააყენა, ყველას სასოება და იმედი მისცა მთელი ქვეყნის მეცნიერებმა შეამოწმეს კოხის მიერ აღმოჩენილი ხოლერის თავი და თავი მიზეზი, თვით ჭირის ბაცილა და როცა სინამდვილეში დარწმუნდნენ, ყოველ მხრივ გაიცნეს ეს თვალთ უხილავი მტერი კაცობრიობისა, შეისწავლეს მისი ხასიათი, მძინვარების მიზეზი და სხვა.

დღეს საქმე იქამდის გაადვილდა, რომ ყოველს, განსწავლულს ექიმს შეუძლიან მიკროსკოპით გამოიკვლიოს საეჭვო ავადმყოფის განავალი და თუ შიგ „კოხის მძიმე“ აღმოჩნდა, წამსვე უნდა ხოლერის საწინააღმდეგო საშუალებით ავადმყოფი გადაარჩინოს სიკვდილს.

ხოლერიანი ავადმყოფის განავალი ადვილად საცნობია—მოხარშულს ბრინჯის წვენსა (ფლავისთვის რო გავწურავთ ხოლმე) ჰგავს და შიგ ბლომად ნავარდობენ ხოლერის ბაცილები. ხოლო ამავე დროს ადამიანის სხვა შეგნეულობაში სრულებით არ მოიპოვებიან. ამ გვარად, თავი და თავი მიზეზი ხოლერის გავრცელებისა ხოლერიან ავადმყოფის განავალია, უმეცარი ხალხი ვერ უვლის, როგორც რიგია, ავადმყოფის პირიდან და ტანიდან ნასაქმევს. ისვრება ოთახი, ლოგინი, ტანისამოსი, სახმარი ჭურჭელი და სხვა. გასვრილის ხელებით მერე პურსა სჭამენ, ბაცილაც ჩაჰყვება ხოლმე ჩაყლაპულს საჭმელს და კუჭში წამსვე შეუდგება გამრავლებულ ფუთფუთს, გაძლიერებულ სიცოცხლეს. ზოგ ადგილასაც ჭირი რომ ძლიერდება, ამის მიზეზად პროფესორი კოხი სასმელ წყალსა სთვლის. წყალსაც ხოლერიან ავადმყოფის განავლით შხამავს უმეცარი ხალხი და მერე თითონვე სვამს და მთელს ქალაქსა და სოფელს ჭირი ცეცხლივით ედება.

ხოლერის საწინააღმდეგოდ ეხლა ყველა განათლებულ სახელმწიფოში შემდეგ საშუალებას ხმარობენ: თუ რომ საეჭვო ავადმყოფის განავალში ბაცილა აღმოჩნდა, მაშინვე მართავენ ცალკე საგანგებო ბარაკებს (საავადმყოფოებს) და შიგ განცალკევებით ინახვენ და წამლობენ ხოლერიან ავადმყოფს, ხოლერიან ადგილებს და საეჭვო მგზავრებს, მეტადრე მათ ბარგი-ბარახანას, გაცხელებულ ორთქლით (100%) ჟღენთენ, ბაცილებს სწვამენ, სადაც საჭიროა სულეიმანის წყალს ასხამენ—ფეხის ადგილებში და სხვა ბინძურ ადგილებში. კერძოდ, თვითეულმა ადამიანმა რაც შეიძლება ზომიერად უნდა იცხოვროს. არც ჭამა-სმაში, არც მუშაობაში, არც ბახუსისა და ვენერის თაყვანისცემაში არ უნდა გადააჭარბოს, ლოთობა, ავიმეცლობა და ავ-ხორცობა მეტად ასუსტებს ჯანს და ხელს უწყობს ყველა ჭირსა და მით უფრო ხოლერის გაბატონებას. მეცნიერნი ერთხმად გვირჩევენ ხოლერობის დროს, სამოვარი მთელი დღე გაჩაღებული იყოს. სახლში ყველაფრისთვის მდუღარე წყალი უნდა იხმარებოდეს—სამზარეულო ჭურჭლისთვის, სუფრაზე სახმარ ჭურჭელ-დანა-ჩანგლისათვის და სხვა და სხვა. სასმელად, ხელპირის საბანად და პირის გამოსავლებადაც უეჭველად **ნადუღი გაციებული წყალი** უნდა იხმარებოდეს. ვინც ვერ მოითმენს, კიტრი და ახალი ხილი ჯერ ცხელ მდუღარე წყალში უნდა ამოავლოს, გარეცხოს და მერე ისე სჭამოს. ყველასათვის ადვილად მისახდომია, რომ კიტრსა და სხვა ხილში ბაცილა ვერ შეძვრება, ვერ შეატანს, მხოლოდ შეუძლიან გარედან მიეკრას. ჰო და მდუღარე წყალში ბაცილები დაიხოცებიან და ასე გარეცხილი ხილი უშიშრად შეგიძლიანთ სჭამოთ. ერთის სიტყვით, ყოველივე ღონისძიება უნდა იხმაროს კაცმა, რომ საჭმელ-სასმელს როგორმე ხოლერის ბაცილებიც არ ჩააყოლოს, კუჭში არ ჩაუშვას.

ზოგმა ადამიანმა შეიძლება ბევრჯელაც ჩაყლაპოს (საჭმელ-სასმელს ჩააყოლოს) ჭირის ბაცილა, მაგრამ ხოლერა კი არ გაუჩნდეს. აი, ეს რითი აიხსნება: ბუნებას წინადვე უზრუნია ჩვენთვის, ადამიანის კუჭი ერთგვარ მომჟავო წვენს გამოყოფს ხოლმე, ისე როგორც, მაგალითად, პირში ნერწყვი მოგვდის. ამ წვენში საკმაოდ ურევია მარილ-მჟავა (соляная кислота), რომელიც კუჭშივე ხოცავს ხოლერის ბაცილებს და სხვა დაუპატიჟებელ სტუმრებს. ჰო და რამდენათაც კაცი ჯან-საღია და კუჭიც საღი აქვს, იმდენად მისი კუჭი უფრო მეტს მჟავე წვენს ამზადებს. ამიტომაც მეცნიერნი ერთხმად ურჩევენ: ხოლერობის დროს ყოველთვის, როცა წყალსა სვამს კაცი, ნახევარ ჩაის სტაქან წყალზე შვიდი წვეთი **მარილ-მჟავე** უნდა მიუმატოს. აფთიაქში უნდა იკითხოს მსურველმა: соляная кислота разведенная, ერთი ან ორი შაურისა, ეს წამალი წყალსა ჰგავს, უფერულია, წყალს მხოლოდ მარახოშ გემოს აძლევს და სასიამოვნო, სრულებით უვნებელი, სასმელია*). კარგია, მარილ-მჟავიანი წყლით პირის გამოვლებაც.

რაღა თქმა უნდა, რომ სასტიკის სასუფთაოდ და ფაქიზად უნდა შეინახოს ყველამ საცხოვრებელი სახლი, კარ-მიდამო და მეტადრე სანაგვე, ფეხის ადგილს ყოველთვის წამლები უნდა დაესხას და ზედ კირი დაეყაროს. სოფელ ალაგას ან სრულებით არა აქვთ ფეხის ადგილები, ანუ მეტად უსუფთაოდ, ბინძურად ინახავენ, ამიტომ საჭიროა ღრმა ორმო ამოითხაროს 2—3 არშინიანი და დრო-გამოშვებით, კვირაში ერთხელ ან ორჯელ აყალო ყვითელი მიწა წააყაროს ხოლმე, იმდენად რომ სიბინძურე სრულებით დაიმარხოს. თუ ვისაც შეძლება ხელს

---

*) მარშან პროფესორი **პოდვისოცკი** წინააღუდგა ამ საშუალებას: ძეე, კუჭმა თითონ იბრძოლოს, თითონ აკეთოს საჭირო და საკმაო მარილ მჟავიანი წვენი ბაცილების გასაჟლეტათაო.

...ერობა. სექციამ უპირატესობა მისცა [მაზ]რაიონო და საგუბერნიო ერობებს. [ლა]პარაკი აღიძრა აგრეთვე სამაზრო [ე]რობაზედაც. კრებამ დაავალა მცირე სექციას, ეს საკითხიც იქონიოს [სა]ხეში. მცირე სექციამ უნდა შეიმუშაოს მოხსენება ერობის ფორმის შესახებ. მცირე სექციამ მოხსენება [სე]ქციას უნდა წარუდგინოს სექტემბრის პირველ რიცხვებში.

**იაპონელები კავკასიაში.** [ია]პონელებმა კავკასიასაც მიაქციეს ყურადღება. ფიქრობენ აქ ვაჭრობის დაწყებას. ბათუმიდან ბაქოში [მო]სულა ათი იაპონელი, მდიდარი [კომ]ერსანტი. ამათ უნდათ შეისწავლონ ბაზრის ვითარება კავკასიაში. აზრადა აქვთ, მოაწყონ აბრეშუმისა და ჩაის ვაჭრობა. თან წამოუღიათ 1800 ფუთი აბრეშუმი და 1000 ფუთი ჩაი.

**დანიშვნა.** ტფ. მაზრის უფროსი კ. ზ. შანშიევი დაუნიშნავთ ტფ. საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრად, ხოლო ამ საკრებულოს წევრი რიდელი ვიცე-გუბერნატორად გადაჰყავთ რუსეთში (ტ. ლ.).

**„ნაკადული“.** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ მე-14 ნომერი (მცირე წლოვანთათვის). ამ ნომერში მოთავსებულია თხზულებანი დ. თურდოსპირელისა, თ. რაზიკაშვილისა, ვ. თამროშვილი, ლ. ელიავასი, ყ. ...ისა და სხვათა.

**ავლაბრის სამკითხველო.** არა ერთხელ აღგვინიშნავს გაჭირვებული მდგომარეობა წ.-კ. საზოგადოების ავლაბრის სამკითხველოსი. რადგანაც სამკითხველოს წ.-კ. საზოგადოებიდან დანიშნული ყოველთვიური 15 მანეთი არა ჰყოფნის, გამგემ ბ-ნმა მამრაძემ მეორედ აღძრა შუამდგომლობა ტფს ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ სამკითხველოს, რომელსაც მთელი ავლაბრისათვის აქვს მნიშვნელობა, წლიურად შემწეობად 300 მანეთი დაუნიშნოს.

**სეირნობა და ლატარიის ანგარიში.** ამ რამდენიმე კვირის წინად წ.-კ. საზოგადოების ავლაბრის სამკითხველოს სახელით ერთმა წრემ, მათ შორის ივ. ხანდამაშვილმა, მიხეილის ქუჩაზე „სალხინოს“ ბაღში გამართა სახალხო სეირნობა ლატარია-ალეგრითურთ. შემოსავლიდან სამკითხველოს სასარგებლოდ უნდა გადადებულიყო 20%. გადის ამდენი ხანი და სეირნობის გამმართველნი არა თუ კუთვნილს ნაწილს არ უდგენენ სამკითხველოს, აქამდე ანგარიშიც არ გამოქვეყნებულა. საჭიროა სამკითხველოს გამგემ მოსთხოვოს ანგარიში სეირნობის გამმართველთ.

**წყალ-წაღებულთა გადარჩენა.** დღე არ გაივლის ისე რომ მტკვარში არავინ დაირჩოს, არც საბანებლებია და სწრაფ დახმარების საქმეც ვერ არის ჯეროვნად მოწყობილი. ქალაქის ბორანის მოიჯარადრენი ამ შემთხვევაში კარგ დახმარებას გასწევდნენ, მაგრამ მათ არა აქვთ მოწყობილებანი წყალში მყოფთა გადასარჩენად. მოიჯარადრენი ქალაქის გამგეობას სთხოვენ პროპკებს და სხვა მოწყობილებებს. მართალია, მოიჯარადრეებს ხელშეკრულებაში არ უწერიათ ამ იარაღის მიღება, მაგრამ არც მათი პირ-და-პირი მოვალეობაა წყალ წაღებულს ჩაეშველნენ. თუ ისინი ამ საქმეს იკისრებენ, ქალაქის გამგეობამაც დახმარება უნდა გაუწიოს.

**სექციების სხდომები.** ერობის შესახებ არჩეულმა პირველმა და მესამე სექციამ უკვე რამდენიმე სხდომა გამართა. სექციებმა სხდომებისათვის კვირაში თითო დღე დანიშნა. პირველ სექციას ყოველ კვირა სხდომები ექნება ხუთშაბათობით, მესამე სექციას—ოთხშაბათობით.

**უპასპორტოები.** ჩხრეკის დროს პოლიციის მე-6 ნაწილში დააპატიმრეს 14 უპასპორტო კაცი.

**სიცხეები ზუგდიდში.** ზუგდიდში როგორც პეტ. დეპ. სააგენტო გადმოგვცემს, საოცარი სიცხეებია თურმე.

**ეგზარხოსის მოადგილე.** საქართველოს ეგზარხოსის მოადგილე იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი საავარაკოდ ბორჯომს წავიდა. სასინოდო კანტორის საბჭოს სხდომებზე დასასწრებლად ეპისკოპოსი დრო გამოშვებით ჩამოვა ხოლმე.

სადიანის ქუჩაზე 23 ივლისს საღამოთი ვიღაც გამვლელმა კაცმა ჩხუბი აუტეხა მეეზოვეს შამილ ზერუხანოვს და შემდეგ სილა გაარტყა. როდესაც მეეზოვემ დაპატიმრება მოინდომა, უცნობმა იძრო რევოლვერი და რამდენჯერმე დასჭრა მეეზოვე. დაჭრილი ფერუხანოვი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. ამ საქმის გამო ეჭვით დააპატიმრეს ორი უცნობი.

ქალაქის გამგეობის წევრი თავ. ა. მ. არგუთინსკი გამგეობამ ერთის თვით განთავისუფლდა საქმეებისაგან. მის საქმეების წარმოება, იკისრა გამგეობის წევრმა თ. ნ. ე. არღუთინსკიმ.

23 ივლისს, დილის 5 საათზედ, შუა ბაზარში პოლიციამ დააპატიმრა ოზურგეთის მაზრის მცხოვრები მ. კოლოტაძე, რომელსაც ჩემოდანში აღმოაჩნდა სხვა და სხვა ნივთები. გამოკითხვის დროს კოლოტაძემ განაცხადა, ჩემოდანი ნივთებიანად სადგურზე მოვიპარეო.

არსენალის ქუჩაზე მცხოვრებმა პასკოვია მარტიევმა 23 ივლის დალია ნაშატირის სპირტი. მოწამლული ქალი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. მიზეზი ქმართან უსიამოვნება ყოფილა.

# მოწერილი ამბები

**კავკავი.** 11 ივლისს მოხდა კრება ზოგიერთ კავკაველ ქართველთა. კრების საგანი იყო კავკავში „ქართველთა საკრედიტო ამხანაგობის“ დაარსება. კავკაველ ქართველებს დიდი ხანია ბანკის გაღება სდომებიათ, მაგრამ ეს ფიქრი ფიქრად რჩებოდა 11 ივლისამდე. ხსენებულ კრებას დაესწრო 40—50-მდე კაცი. თავ. ი. მ. დორთქითვანიძემ (თავმჯდომარემ) აუწყა დამსწრეთ მოწვევის მიზეზი და სხვა შემდეგი კითხვანი გასარჩევად: 1. საჭიროა თუ არა ადგილობრივ ქართველთათვის ბანკი, 2. შეიძლებენ თუ არა კავკაველი ქართველები ამ საქმის შესრულებას, 3. მნიშვნელობა მომავალ ბანკისა კავკაველ ქართველთათვის და ადგილობრივ ქართულ სკოლისათვის.

თავ. დორთქითვანიძემ ილაპარაკა საზოგადოდ ბანკის დანიშნულებასა და მნიშვნელობაზე. სთქვა აგრეთვე, რომ კავკაველ ქართველებს, თუ მოინდომებენ, შესწევთ ძალა განახორციელონ საქმე, რისთვისაც ადგილობრივ სახელმწიფო ბანკს უესხებია 200 თუმანი და დაჰპირებია შემდეგშიც შველას. ილაპარაკეს აგრეთვე სხვებმაც, ბ-ნებმა გ. როინაშვილმა, კიკნაძემ, მღ. ნათაძემ. მ. ნათაძემ ნათლად დაასურათა ბანკის მნიშვნელობა კავკაველ ქართველთათვის და ქართულ სკოლისთვის. (რომელსაც სამუდამო სახსარი გაუჩნდება ამით). დამსწრენი ერთხმად დათანხმდნენ ბანკის დაარსების საჭიროებას. ბანკის ძირის თანხად იქნება ამ კრებაზედვე შემოტანილი 1125 მ. და ბ-ნ ელიაძეს მიერ დატოვებული 100 თუმანია. სულ 2125 მანეთი და რასაც შემდეგ შეჰკრებენ, ის კიდევ სხვა. ეს ფული იმ პირობით შეწირული, რომ ათი წლის შემდეგ გადაეცეს ქართულ სკოლას, რომელსაც სურს ამ ფულით შეიძინოს მეზობლის სახლი. ბანკის წმინდა მოგებიდან 40% მიაკუთვნეს სკოლას. კრებაზედვე აირჩიეს მომავალ ბანკის დირექტორად თავ. ი. მ. დორთქითვანიძე და ხაზინადარად ბ-ნი გ. გურული. იმედია, თ. დორთქითვანიძე, როგორც გამოცდილი ამ საქმეში, არ დაიშურებს შრომას.

ამავე კრებაზე გადასწყვიტეს, მადლობა გადაუხადონ ბ-ნ ელიაძეს, (რომელმაც შესწირა ბანკს 100 თუმანი). კრების დასასრულს ბ-ნმა ი. გ. შვილიევმა, ამ მეცენატმა აქაურ ქართველობისა და სკოლისა, სთხოვა გამგეობას, მიეცათ მისთვის წიგნი ხელის-მოწერით ფულის შესაკრებად. როგორც ბ-ნ შვილიევის სიტყვებიდანა სჩანს, შეკრებილ ფულით სურს ქართულ სკოლის შენობას დაადგას მეორე სართული, სადაც მოთავსებული იქნება 6 ოთახი. ამათში სამი საკლასო ოთახი იქნება (რადგან ესლანდელ საკლასო ოთახებში თითო 80-90 ბავშვამდე და კიდევ მეტიც არის ხოლმე ზოგჯერ), ერთი ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის და ორიც ბანკისთვის. კრებამ აღტაცებით მიიღო ბ-ნ შვილიევის წინადადება და მადლობაც გადაუხადა. წიგნი ფულების შესაკრებად, რასაკვირველია, მისცეს. ბ-ნი შვილიევი ამ ფულის შეკრებას აპირებს თურმე კურორტებზე, მოსკოვში და სხვაგან. ნებართვა ბანკის დაარსებისთვის უკვე მიიღეს 19 ივლისს. საზოგადო კრება დანიშნულია 25 ივლისისთვის, რის შემდეგ ბანკი კიდეც დაიწყებს მოქმედებას. ვუსურვებთ ამ ახალ საქმეს აღორძინება, რადგან, ჩემის აზრით, მას დიდი მნიშვნელობა ექნება როგორც სკოლისთვის, ისე აქაურ ქართველთათვის.

ფ. ზუნდუკაშვილი.

**კაბალი** (ლაგოდეხის ნაწილი). ჩვენ, ქართველები, ჩვენსავე ქვეყანას ძალიან ნაკლებად ვიცნობთ. ჩვენი ინტელიგენცია პარიზზე, ბერლინზე, პეტერბურგზე ყველაფერს გეტყვით, ხოლო საქართველოსა და მის ნაწილებზე წარმოდგენაც-კი არა აქვს. ინტელიგენციას არა აქვს ჩვენი ქვეყნის შესწავლისა, დათვალიერებისა და გაცნობის სურვილი, ხოლო სადაც ასეთი სურვილი არ არის, იქ არც სიყვარული იქნება თავის ქვეყნისა. ავიღოთ ტურფა კახეთი. განა ბევრს უნახავს ეს უმშვენიერესი კუთხე საქართველოსი? ჩემდა უნებლიედ ამ აზრებმა გამიტაცეს, როდესაც გავედი ლაგოდეხიდან და შევუდექი ლაგოდეხის ნაწილისა და ზაქათალის ზოგიერთ ადგილის დათვალიერებას. მე არ მინდა ვთქვა, ამერიკა აღმოვაჩინე მეთქი, მაგრამ დარწმუნებით კი შემიძლიან განვაცხადო, რომ ლაგოდეხის გაუვალი ტყეები და ადგილები, სადაც ადრე ქართველთა ცხოვრება სდუღდა და გადმოდიოდა, ორ განათლებულ ქართველსაც არ დაუთვალიერებია. ეს რამდენიმე ხანია ლაგოდეხში ვცხოვრობ და აქედან დრო-გამოშვებით სანადიროდ მივდივარ ხოლმე ლაგოდეხის ტყეებში, ხშირად 20-30 ვერსის მანძილზე. მოვიარე თითქმის მთელი ეს კუთხე, კაბალის სერიდან ზაქათალამდე, ასე 60 ვერსის მანძილი და განცვიფრებული დავრჩი. მთელი ეს ამოდენა ადგილი დაფარულია დიდ თითქმის გაუვალ ტყით. როგორც მთიან, ისე ბარ ადგილებში კაცი ნახევარ ვერსს ვერ გაივლის ისე, რომ არ შეხვდეს დაბურულ ტყეებში ნასაყდარებს, ციხეებს, კოშკების ნანგრევებს და მრავალს ნასოფლარს. ნასოფლარები ცხადად არის შენახული. ცხადად ეტყობა სოფლიდან სოფლამდის გზები. ნასოფლარში ჰხედავთ სახლის ნანგრევებს, ქვითკირით ამოშენებულ კედლებს, არხებს და სხვას. კაბალის უღელტეხილიდან დაწყებული სოფ. ჯარამდის, 40—60 ვერსის მანძილზე, სულ დაფენილია ნაციხრებითა, ნასოფლარებითა, ნამოსახლებითა, ნაეკლესიარებითა. ბევრგან ქვევრებია შენახული. ნასოფლარებში უზარმაზარ ნიგვზის ხეებია და სხვა, მხოლოდ გაველურებული ხეხილი. ამ ადგილების ნახვით ვრწმუნდები, რომ ნამდვილი კახეთი შაჰაბაზის შემოსევამდე ეს მხარე უნდა ყოფილიყო. სავრცით მეტი თუ არა, ნაკლები არც-კია დღევანდელ კახეთზე და ცხოვრება ადრე აქ უფრო მჩქეფარე უნდა ყოფილიყო, ვიდრე ამ ჟამად ქიზიყში. არა მგონია, ეს კუთხე მოევლოს რომელსამე ჩვენ მეისტორიეს. დრო კია შეუდგნენ ამ კუთხის შესწავლას. დარწმუნებული ვართ არქეოლოგიისათვის მრავალ საინტერესო მასალას მოიპოვებენ აქ. შაჰაბაზმა უფრო მეტი რისხვა და ცეცხლი კახეთში შეიტანა და ეს კუთხე დედამიწის ზურგიდან აღგავა. დახოცილებსა და გადამწყვართა გარდა, შაჰაბაზმა კახეთიდან თითქმის 100,000 სულზე მეტზე წარიტყვევა და აი ამ ხალხის ნასოფლარებისა და ციხეების გათხრა ბევრს საინტერესო მასალას მისცემს მკვლევარს.

ვნახე ერთი დიდი არხი, რომელიც იწყება ახლად გაშენებულ ქართველთა სოფლების ცოდნისა, კავშირთა და შრომასთან. არხს სიგანე სამი საჟენი ექნება, სიღრმე ორი არშინი. აღნიშნულ სოფლებიდან არხი მიდის დაბურულ ტყეებზე და გადის 50 ვერსის მანძილს. ეტყობა, ეს არხი სარწყავ წყლისათვის ყოფილა გაყვანილი. არხი დღესაც მშვენივრად არის შენახული და მომავალში თუ ვინიცობაა დასახლდა და გაშენდა ეს ადგილები, მის აღდგენა სულ ადვილი იქნება. ამ არხის არსებობის შესახებ არც გამიგონია ვისგანმე რამე და არც წამიკითხავს. ადვილად შეიძლება მისი არსებობა არც კი ვინმემ იცოდეს.

ლაგოდეხელი.

# პატარა ფელეტონი

## ბედნიერება

(თათრული ზღაპარი)

გ. დოროშევიჩისა.

ეს ზღაპარი უცნაურად გვიამბო მოხუცმა დედაკაცმა. ესევე ზღაპარი მხიარულად გადმოგვცა ახალგაზდა ლამაზმა ქალმა. ამ ზღაპარს მოწყენით გიამბობთ მეც თქვენ.

იყო და არა იყო-რა, იყო ქვეყნად თათარი ჰუსეინი. იყო იგი ღარიბი—უნდოდა ყოფილიყო მდიდარი. იყო მარტოდ-მარტო, უნდოდა ყოფილიყო ცოლიანი. იყო უბედური—უნდოდა გამხდარიყო ბედნიერი.

წყევა-კრულვით იხსენებდა თავის ბედს: „შენა სძარცავ ერთს და ამდიდრებ მეორეს. რათა აქვს ერთს ყველაფერი—მეორეს კი არაფერი? რისთვის? რატომ არაფერი მაქვს მე?!.

და ჰუსეინი იწყებდა ბედის წყევას. ბედია, რომელიც შეჩვეული იყო წყევა-კრულვას, რადგან ყველანი სწყევლიდნენ, ბოლოს ველარ მოითმინა, გაჯავრებული მივიდა ჰუსეინთან და ჰკითხა:

— რას თხოულობ ჩემგან, ბრიყვო?

— სად არის ჩემი ბედი? რად მომპარე იგი? სად გადამიკარგე? მომეც ჩემი ბედნიერება!

— შენი ბედი არავისაც არ მოუპარავს. იგი ოქროს სამეფოშია. ყური დამიგდე. ოქროს სამეფოში ერთი მზეთ-უნახავია. აუწერელია მისი სილამაზე. დღე და ღამე არა აქვს მოსვენება. ცხადად თუ სიზმრად მუდამ შენი სახე უდგა თვალ-წინ და შენის სიყვარულით სანთელივითა დნება. მრავალი საქმრო—მეფის ძენი და დიდებულნი—ეძლევა. მაგრამ მისი გული და გრძნობა შენკენაა. დიდ მწუხარებაშია მოხუცი მამა მისი და დღეს აღთქმა დასდო ღმერთთან, რომ მიათხოვოს თავისი ქალი იმას, ვისაც მზეთ-უნახავი მოიწონებს, თუნდ იგი მახინჯი მათხოვარაც იყოს. დაუმტკიცებს მას თავის უთვალავ სიმდიდრეს, გახდის თავის შვილად. ერთ თვეში უნდა აირჩიოს მზეთ-უნახავმა საქმრო, და თუ ამ ხანში ვერ აირჩია, მაშინ მამა თავის ნებით მიათხოვებს ვისაც უნდა. გამიგონე. დღეს ახალი მთვარეა. თუ შენ შემდეგ ახალ მთვარემდე ოქროს სამეფოში მისვლას შესძლებ—მზეთ-უნახავი, სიმდიდრე და ბედნიერება შენი იქნება. იქნები მდიდარი, ძლიერი, ლამაზის ცოლის პატრონი. სხვა ბედნიერება ადამიანისათვის აღარ არსებობს. მოასწრებ—ყველაფერი შენია, არა და—დაკარგულია.

ეს სთქვა ბედმა და გაჰქრა. ჰუსეინი ყველას ეკითხებოდა:

— სადაა ოქროს სამეფო?

ყველა ხელ-გაქნევით უპასუხებდა:

— ცხრა მთას იქითაო.

— შეიძლება ახალ-მთვარემდე მიაღწიოს იქ ადამიანმა?

ყველა იცინოდა:

— თუ რაშით ივლი დღე და ღამ განუწყვეტლივ, შეიძლება მიაღწიო!—ეუბნებოდნენ მას.

მაგრამ ჰუსეინს რაში სადა ჰყავდა? ჰუსეინი ჩაფიქრდა. იგი იყო ახალგაზდა, მაშასადამე, გამბედავიც. გადასწყვიტა ფეხით წასულიყო. „იქნებ მივაღწიოო“. ფეხებს შებრალება არა სჭირია. მიდის ჰუსეინი ერთი კვირა, მეორე... სძინავს ცოტა... მიდის წინ შეუსვენებლად...

მთვარე ცაზედ უკვე დასრულდა. კაშკაში გააქვს. მთვარემ თან და თან კლება დაიწყო. აგერ უკანასკნელი ვერცხლის ძაფიც გადნა ცის სივრცეზედ. დადგა ბნელი, უკუნეთი ღამეები. ჰუსეინი ღამის სიბნელეშიაც მხნედ მიაბიჯებს. მხოლოდ შუადღისას, გადამეტებულ სიცხის დროს თუ სძინავს საათი... ორი...

გამვლელ-გამომვლელს ეკითხება:

— კიდევ შორსაა ოქროს სამეფო?

გაკვირვებისაგან თვალებს აჭყეტენ:

— ჯერ სადაა: ცხრა მთას იქით არის!

შეჰხვდა მოლას.

— ახალი მთვარეს დაბადებამდე ბევრი ხანი დარჩა?

— მხოლოდ სამი დღე!

მოწყენილი ჰუსეინი ერთ მაღალ, თვალუწვდენელ კლდეს მიადგა. არსაიდან შესავლელი გზა არა აქვს. დაღლილობისაგან ჯანი გამოელია, სიცხისაგან ძლივს სუნთქავს. წასაძინებლად კლდის ძირში მიწოლა დააპირა, რომ ამ დროს ბარტყების თავგანწირული წრიპინი შემოესმა. ჰუსეინმა მაღლა აიხედა. ჰხედავს კლდის წვერზე ფრინველის ბუდეა და შიგ შეშინებული პაწია არწივის ბარტყები წრიპინებენ. მათკენ მსუნაგი გესლიანი გველი მისრიალებდა და ბარტყებს შეჭმას უპირებდა. ის იყო გველი ბუდეს მიუახლოვდა, ჰუსეინმა ქვის ნატეხს დაავლო ხელი, აფოფხდა კლდეზე დაარტყა ქვემძრომს და თავი გაუსრისა. თვითონ-კი დამშვიდებულად იქვე მიიძინა.

ჰუსეინის ძილში ბარტყებთან დედა არწივი მიფრინდა, და რა დაინახა ბუდის ახლოს მძინარე კაცი, ძლიერ შეშინდა, კლანჭებით დაავლო ქვას ჰაერში ასაფრენად დაემზადა, რომ იქიდან ადამიანისათვის შუბლი გაეჭყა, მაგრამ პაწია ბარტყებმა დედა შეაჩერეს.

— ეს კეთილი [illegible] ნუ ახლებ. [illegible] ჩინა. ეგ რომ [illegible] ლი შეგვ[illegible] და, მაგრამ საიდანაც გამოჩნდა ეგ მხეცი და ბოროტ სულს თავი გაუჩხა.

ჰხედავს არწივი, მართლაც ბუდის ახლოს გველია მოკლული. გადაჰკლაპა იგი და ადამიანის გამოღვიძებას დაუწყო ლოდინი.

ჰუსეინმა გამოიღვიძა.

— ეჰ, მზე კარგა ძალზე გადახრილა კიდეც!—წამოიძახა მან. ისარივით წამოხტა, უნდოდა გზას გასდგომოდა, მაგრამ არწივმა შეაჩერა.

— მადლობელი ვარ, კეთილო კაცო, რომ ბარტყები სიკვდილს გადამირჩინე. სად მიდიხარ, ან რისთვის? ხომ არ შემიძლიან რითიმე გადაგიხადო სიკეთე?—ჰკითხა არწივმა.

— ოქროს სამეფოში მივეჩქარები მზეთ უნახავი ცოლად უნდა შევირთო!—უპასუხა ჰუსეინმა,—იგია ჩემი ბედი.

— რამდენი ხანია კიდევ დარჩენილი ვადამდე?—იკითხა არწივმა.

— ვადამდე? სამი დღე...

— ამ ხანში შენ იქ მისვლას ვერ შესძლებ, მე-კი შემიძლიან. ვალს გადახდა უნდა. შენ მოგვაშორე მტერი და მოგვიპოვე ბედნიერება—მეც დაგეხმარები ჰპოვო შენი ბედი. დამაჯექ ფრთებზე—სამს დღეში ოქროს სამეფოში ვიქნებით. მზეთუნახავის ფანჯრის წინ მიგიყვან. მხოლოდ, ესაა, გზა არწივისთვისაც-კი მეტად შორია. საჭიროა უმი ხორცი იგულო. როგორც-კი მოგთხოვო—ერთი ნაჭერი ხორცი მომაწოდე. ჯანს შევიმატებ და ქარივით გავფრინდები. უამისოდ ძალა გამომელევა და დედამიწაზე დავეშვები.

ჰუსეინი დაეშვა ქალაში. ჩაუსაფრდა სამი მელა მოჰკლა, გადააბა ერთმანეთს და მოიტანა.

— კმარა?

— ჩქარა გავსწევთ იკმარებს! დაჯექ!

ჰუსეინი არწივს ცხენის უნაგირივით გადააჯდა. არწივმა ქარივით მაღლა ჰაერში შეინავარდა და გაუდგა გზას.

ჯაფარ-ფაშა.

(დასასრული იქნება)

# სპარსეთი

**მამედ-ალის თხოვნა.**

შაჰად ნამყოფმა მამედ-ალიმ დაიბარა ეინუდ-დოვლე და სეიდ-ნასრულა და ხანგრძლივ საუბრის შემდეგ სთხოვა, ჩემ მაგივრად სთხოვეთ ხალხს, რომ სპარსეთში დამტოვონო. ეინუდ-დოვლემ შაჰად ნამყოფის თხოვნა მაშინვე გადასცა სპარსეთის მთავრობის, მაგრამ მთავრობამ გადაჭრილი უარი შეუთვალა ტახტიდან ჩამოგდებულ შაჰსა.

**მამედ-ალის ვალი.**

შაჰად ნამყოფს 3 მილიონ მანეთამდე ჰმართებს რუსეთ-სპარსეთის ბანკისა, სპარსეთის მთავრობა თანახმაა ეს ვალი გადაიხადოს, მხოლოდ იმ პირობით, რომ სამაგიეროდ მამედ-ალის მამულები ჩამოართვან სახელმწიფოს სასარგებლოდ.

**ზილი-სალტანე**

მამედ-ალი-შაჰის ბიძა ზილი-სალთანე 22 ივლისს ბაქოში მივიდა და იმ წამსვე სპარსეთისაკენ გაემართა.

ზილი-სალთანეს შემდეგი უთქვამს ბაქოში ნაცნობისთვის: სპარსეთში ჩემის საკუთარის თაოსნობით მივდივარ, არავის არ მიუწვევივარ. მე მინდა მიულოცო ახალგაზდა შაჰსა და იმ მოღვაწეებსა, რომლებიც მეთაურობდნენ განმანთავისუფლებელ მოძრაობას. თუ სამუდამოდ რეგენტად დამნიშნავენ, უარს ვიტყვი. რადგან წლოვანება ნებას არ მაძლევს ეს თანამდებობა ვიკისრო. მე ვსთხოვ შაჰსა, რომ ნება მომცეს ჩემს საკუთარს მამულში ისპაჰანს ახლო ვიცხოვრო და აგრეთვე სალოცავად წავიდე ქერბალაში. თუ შაჰი არ შეიწყნარებს ამ ჩემს თხოვნას, ისევ უკან დავბრუნდები ევროპაში. მე და ჩემი ვაჟიშვილები გულწრფელად თანავუგრძნობთ სპარსეთის ახალ წყობილებას და მტკიცე ერთგულები ვართ ახალის შაჰისაო.

თუმცა ამას წინად „პეტერბ. დეპეშათა სააგენტომ“ გვაცნობა, რომ სპარსეთის უმაღლესმა საბჭომ სპარსეთში შესვლა აუკრძალა ზილი-სალთანესაო, მაგრამ არც თითონ პრინ-

უწყობს, მიწის მაგიერ კირი უნდა იხმარებოდეს.

ვისაც უბედურება დაატყდება და ოჯახში ხოლერით ვინმე ავად გახდება, მან იმ წამსვე უნდა თავის უბნის სანიტარს ანუ პოლიციას აცნობოს, რომ ავადმყოფი საგანგებო ბარაკებში წაიყვანონ მოსარჩენად, მხოლოდ უმეცარ, ცრუმორწმუნე ხალხს შეუძლიან იფიქროს, რომ ავადმყოფს წაიყვანენ და მომწამლავენო. რატომ ის კი არ უნდა იფიქროს, რამოდენა წვალებაა ამისთანა ავადმყოფის შინ მოვლა. თუ არც იცით, როგორის წესით მოუაროთ ავადმყოფს, მაშინ ხომ მთელს ოჯახს მოელება ჭირი!?

სოფელ ადგილას იქ, სადაც არავითარი დაწესებულება არ არის, საგანგებო საავადმყოფო არ მოიპოვება, იქ, მეტი რა გზაა, ყველა თითონ უნდა გაუძლვეს თავის უბედურებას. ავადმყოფს მხოლოდ ერთი მომვლელი უნდა მიეჩინოს. ძლიერ სასტიკი სიფაქიზე უნდა იქმნას დაცული ავადმყოფის გარშემო, თავი და თავი საქმე ხოლერიან ავადმყოფის განავალია, აგრეთვე პირიდან ნასაქმი. არსად ერთი წინწკალიც არ უნდა მიეკაროს არც ლოგინს, არც ტანისამოსს, არც თვით იმ ადგილს, სადაც ავადმყოფი წევს. თუ განავალი რამეს მოჰხვდა, წამსვე უნდა მოიხოს, მოიქრას და ცეცხლში დაიწვას ან წამლები დაესხას ბაცილების დასახოცად. თვითონ განავლისთვის უნდა იყოს სპილენძის ანუ რკინის (ჟესტის) ტაშტი; ხისა იმიტომ არ ვარგა, რომ ხეს ისე ვერ მოაშორებს კაცი ბაცილებს (შიგ ჩაიკვდება), არც თუ თიხისა ვარგა, მაგრამ თუ კი გაჭირდა, რას იზამთ, განავალში ჯერ წამლებით*) უნდა ჩაიხოცს ხოლერის ბაცილები და მერე მიწაში ჩაიმარხოს. თითონ იმან ვინც ავადმყოფს უვლის, ტანისამოსის ზევიდან უნდა გადაიცვას გრძელ კალთებიანი თეთრი მიტკლის ხალათი. როცა კარგა-მყოფთან მიდიოდეს, ეს ხალათი ავადმყოფის ოთახში უნდა დასტოოს. უფრო უკეთესია მთლად გამოიცვალოს ხოლმე ტანისამოსი და კარგა-მყოფთან ისე მივიდეს. რაღა თქმა უნდა, ხელები ყოველ მიკარების შემდეგ უნდა სუფთად დაიბანოს, მეტადრე როცა განავალს გაიტანს გარედ, უეჭველად ხელები უნდა ჯერ კარბოლის ანუ სულეიმანის წყლით გადაივლოს, მერე საპნით დაიბანოს. ყველა ამ წამალს მსურველს ექიმები მისცემენ ან აფთიაქში მოუმზადებენ. არამც და არამც ხოლერიან ავადმყოფის მომვლელი ხელ-დაუბანელი საჭმელ-სასმელს არ უნდა მიეკაროს, თორემ თითო ლუკმას ათასობით ჩააყოლებს ხოლერის ბაცილებს და ახლა იმას დაადგება შავი დღე.

ხოლერის მოარულის დროს მთავრობა, საქალაქო და საერობო დაწესებულებანი გამოსცემენ ხოლმე დარიგებას, დაბეჭდილ ფურცლებს (წიგნაკებს) იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს კაცი. ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთი ზომა დავასახელეთ.

ილ. ალხაზიშვილი.

*) უწმინდურებასა და განავალზე დასასხმელად იხმარება: უბრალო გოგირდის მჟავა (Сѣрная кислота простая), ფენოლი ანუ უბრალო კარბოლის მჟავა (карболовая кислота), სულეიმანი (сулеиманъ) და სხვ.

ცმა, არც სპარსეთის საკონსულომ არაფერი არ იცოდნენ ასეთ განკარგულების შესახებ. თუ რამდენად სწორეა ამ სააგენტოს ცნობები, ეს ხვათა შორის იქიდანაც ჩანს, რომ მაგალითად ამ დღეებში სააგენტომ გვაცნობა, ნაჰიბუს-სადათს თვალები დასთხარესო, ნამდვილად-კი ნაჰიბუს-სადათა უკვე 20 წლის წინად დაბრმავდა. ბოლოს დროს ზილი-სალთანე ვენაში ცხოვრობდა. თუ ვენურ გაზეთებს დაუჯერებთ, ზილი-სალთანეს სპარსეთის ტახტის ხელში ჩაგდება უდევს გულში და ამ აზრით ბრუნდება იგი თეირანშიო. ვენური გაზეთები იუწყებიან, როცა სპარსეთში მიდიოდა, ზილი-სალთანემ უთხრა თავის მხლებლებს:

„25 წლის წინად დავიფიცე, რომ სპარსეთის ტახტს მივაღწევ-მეთქი და აი მარჯვე წამი დამიდგა ეხლა, რომ მთელის ჩემის სიცოცხლის ოცნება შევისრულოო“.

იგივე გაზეთები სწერენ, რომ რუსეთსა და ინგლისს უნდათ ზილი-სალთანე სპარსეთის რეგენტად დანიშნონო, მაგრამ ჯერ ვერ შეთანხმდნენ ამისთაობაზეო.

**საშინელი შეცდომა.**

ჯერ კიდევ თეირანის აღების წინად, კერეჯის ხიდის ახლო, სოფელ შეინარში, სადაც იმდროს იდგა ძლიერი რაზმი რეშტელ ფიდაებისა, ღამით რამდენიმე ცხენოსანი მივიდა. მათ წინ მიუძღოდა ვიღაცა კარგად ჩაცმული მოხდენილი სპარსელი.

დარაჯებმა არ შეუშვეს ცხენოსნები რევოლიუციონერების ბანაკში. მოწინავე დარაჯების უფროსმა მოსთხოვა, თქვენი სახელები გვითხარით, რაზმის უფროსს უნდა მოვახსენოო.

— მე ვარ სარდალ ბაგადური და ეს კიდევ ჩემი ამალაა.

ეს პასუხი ელდასავით გავარდა მოდარაჯე რევოლიუციონერებში, რომ ლებმაც აღარც აცივეს, აღარც აცხელეს, ბაგადური ცხენიდან ჩამოაგდეს, ფეხში ხელი სტაცეს და თავიანთ უფროსის კარავში გაათრიეს.

გზაში ბაგადური ისე საშინლად აწამეს, რომ გონება დაეკარგა. ცოცხალ-მკვდარს ბაგადურს მთელი ბანაკი შემოეხვია გარსა და მხოლოდ მაშინ გამოირკვა, რომ უმოწყალოდ ნაცემი, დასახიჩრებული, და სიკვდილის პირამდე მიყვანილი იყო ბახტიარების ცნობილი მეთაური სარდალი ბაგადური, რომელიც ფიდაებს საუბედუროდ ჩაეთვალა ემირ-ჯენგ-ბაგადურად (ცნობილი მეთაური რეაქციისა). სარდალ ბაგადური სამხედრო მინისტრს სეპეხდარს გაეგზავნა თურმე რევოლიუციონერების ბანაკში.

**სომხის სოფელზე დაცემა.**

მამედ-ალი-შაჰის ჯარის გადარჩენილი ბრბო დაეცა სომხის სოფელს ვანაგს, რომელიც მდებარეობს შაჰის საზაფხულო რეზიდენციასა და რუსეთის საელჩოს აგარაკს ახლო. სომხები, რითაც და როგორც შეეძლოთ, იგერიებდნენ მტერსა. სამხედრო მინისტრმა სომხების საშველად დაუყოვნებლივ გაგზავნა ფიდაები ეფრემის რაზმიდან. მათ დანახვაზე ბრბო გაიფანტა. მათგან 100-მდე კაცი შაჰ-აბდულ-აზიმის ბესტში ჩაჯდა.

**სომხები და სპარსელები.**

გაზეთებში, ნამეტნავად „ნოვოე ვრემია“-ში, ცნობა იყო დაბეჭდილი, ვითომ სპარსეთში სომხების ამოწყვეტას აპირებენო. სპარსეთიდან დაბრუნებულ პირს უამბნია „რეჩ“-ის თანამშრომლისთვის, რომ ეგ ტყუილი ხმებიო. ოსმალეთში რომ სომხები გაწყვიტეს 1896 წელს, სპარსელებმა არა ერთს ათასს სომეხს მისცეს თავშესაფარი თავიანთ სამფლობელოში. 1905 წელს, როდესაც კავკასიაში სომეხთ-თათართ შეტაკება მოხდა და როდესაც იქ სომხებმა მოჰკლეს ათასზე მეტი სრულიად უდანაშაულო მუსულმანი, სპარსეთის ქვეშევრდომი, სპარსეთში არ დაიწყო არავითარი მოძრაობა სომხების წინაამდეგ. ამ ჟამად სომხები მონაწილეობას ღებენ სპარსეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობაში და სპარსეთის ხალხი ამის გამო კარგის თვალით უცქერის მათ.

# რევოლიუცია ესპანიაში

**ესპანიის მეფე გაქცევას აპირებს.**

მეფისა და მთავრობის მდგომარეობა მეტად საშიშია. უბედურების თავიდან ასაცილებლად, მეფე თავის სახლობით ინგლისში წასასვლელად ემზადება. (ბ.)

**ბარცელონაში.**

ქალ. ბარცელონა სოციალისტების და ანარხისტების ბუდეა. ამიტომ რევოლიუციამ ყველაზე წინ და ძლიერ იქ იფეთქა და მთავრობამაც ამიტომ მიაქცია ამ ქალაქს უმთავრესი ყურადღება.

გერმანულ გაზეთებს ატყობინებენ ესპანიიდან: მთავრობა ოფიციალურად აცხადებს, რომ მდგომარეობა ბარცელონაში გაუმჯობესდაო; კერძო ცნობები-კი ბარცელონიდან სრულებით არ მოდის, რადგან ესპანიელ ჟურნალისტებს სამხედრო სასამართლოში აძლევენ, თუ მათ გაბედეს რაიმე კერძო ცნობების გაგზავნა რევოლიუციის შესახებ. სახალხო სახლი ბარცელონაში ჯარმა ზარბაზნის ყუმბარებით დაანგრია, ყველა მონასტერი დასწვეს, გარდა ერთისა, რომელიც იეზუიტებს ეკუთვნის. ამ მონასტრის მცხოვრებთ დიდი დახმარება გაუწია ჟანდარმერიამ. ჯარის-კაცები თოფს არ ესვრიან ხალხსა, სამაგიეროდ გულმოდგინედ ირჯება ჟანდარმერია და პოლიცია; ამის გამო ხალხი მეტის-მეტად გაცეცხლებული.

ქ. ტუდელაში ვაგზალზე ნამდვილი ბრძოლა მოხდა პოლიციასა და ჯარის-კაცებს შორის. ჯარის-კაცები არ სხდებოდნენ ვაგონებში.

ქალ. მადრიდში 119 რადიკალი და სოციალისტი დააპატიმრეს.

# ესპანია და მაროკო

უცხოეთის გაზეთებში საინტერესო ცნობებია დაბეჭდილი მელილასთან 13 და 14 ივლისს მომხდარ ბრძოლაზე. რამდენსამე საათს ესპანელები ებრძოდნენ კაბილებს, რომლებიც რიცხვით ერთი-ათად სჭარბობდნენ მათ. ესპანელები უცებ წამს ელოდებოდნენ მაშველ ჯარს. ისინი მეტად გმირულად იბრძოდნენ, და უიმედოდ ცდილობდნენ პოზიციები შეენარჩუნებინათ და გაათრთხილებინათ კაბილები უკუ-აგდოთ. კაბილებიც სასტიკის თავ-განწირულობით იბრძოდნენ და არხეინად უგებებოდნენ სიკვდილს. როცა მაშველი ჯარი მოვიდა, ესპანელთა რაზმიდან მხოლოდ 20 კაცს-და შეეძლო ბრძოლა. დანარჩენი ან დაჭრილი იყო ან მოკლული. მაშველ ჯარს საშინელი სურათი გადაეშალა თვალ-წინ მთელი ბრძოლის ველი სისხლით იყო შეღებილი და გვამებით გავსებული. ერთი ესპანელი არტილერისტი ჭკუიდან შეშლილიყო და აქეთ-იქით ისროდა ტყვიებს უმიზნოდ. იგი ზარბაზანთან დადგა და ესპანელებს დაემუქრა. დიდის წვალებითა და ვაი ვაგლახით აჰყარეს მას იარაღი.

კაბილები არ შეუშინდნენ მაშველ ჯარს და შეუდრეკელის სიმამაცით განაგრძობდნენ იერიშს. თეთრ-დროშებში, ადგზნებულის თვალებით, ისინი, ეტყობა, ესპანელებთან ბრძოლას წმინდა ბრძოლად სთვლიდნენ, და ზარბაზნებისა და თოფის გამანადგურებელმა სროლამაც ვერ შეაყენა მამაცი მებრძოლები.

როგორც ამბობენ, კაბილებს 20 ათასი კარგად შეიარაღებული მეომარი ჰყავთ. აქედან ჩანს, რომ ისინი დიდხანს და ბეჯითად ემზადებოდნენ საომრად. კაბილებს ზარბაზნები არა აქვთ, ამიტომ მათ გაუჭირდებათ მელილას ციხის აღება, მაგრამ ესპანელებს მაინც ძლიერ გაუჭირდებათ საქმეს, რადგან ესპანიის ჯარის ნაწილი უნდება მადნების დაცვას, ციხის გარედ. კაბილები ცდილობენ მადნებს გზა მოუჭრან და ციხე და მადნები ცალ-ცალკე აიღონ.

ესპანიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ საფრანგეთის წინაშე მოვალეობა ვიკისრეთ აქტიური პოლიტიკა გვეწარმოებინა მაროკოშიო. თვით ზომიერ გაზეთებსაც არა სჯერათ ამ განმარტების სიმართლე, ხოლო რესპუბლიკელთა გაზ. „ელპაის“ პირდაპირ სწერს: თუ ეს მართალია, რომ საფრანგეთმა ჩაითრია ესპანია ამ ომშიო, მაშინ უფრო სამართლიანი იქნება ომი თვითონ საფრანგეთს გამოუცხადოთ და არა კაბილებსო.

გაზეთები ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ ესპანიის მთავრობა დღემდე თავის მეგობრად სთვლის მაროკოს სულთანს მულაი-ჰაფიდს. ეს იმით აიხსნება, რომ კაბილებს ესპანელების წინაამდეგ ბრძოლა თავიანთ საკუთარის თაოსნობით დაუწყიათ; მათ არც აქვთ იმედი მულაი-ჰაფიდის დახმარებისა, რადგან მათ კარგად იციან, რომ მულაი-ჰაფიდი ესპანელების მეგობარია და რომ მან განსაკუთრებული დესპანები გაგზავნა ესპანიაში. კაბილები წინააღმდეგნი იყვნენ დესპანების გაგზავნისა, მაგრამ სულთანმა ანგარიში არ გაუწია მათ სურვილს, სამაგიეროდ კაბილები ბოლოს დროს აღარ ემორჩილებიან მულაი-ჰაფიდს.

# უცხოეთი

**კონფლიქტი გერმანიისა და რუსეთის შორის.**

რუსეთსა და გერმანიას შორის კონფლიქტი მოხდა. საზღვრის დამცველ რაზმიდან ერთი რუსის ჯარისკაცი გერმანიის სამფლობელოში გადავიდა, ბრაკონიერად (ბრაკონიერი—ვინც ნებადაურთველად ნადირობს) ჩასთვალა იგი, და იარაღი აჰყარა მას. გერმანიის მთავრობამ წინადადება მისცა რუსეთისას, ეგ საქმე ჰააგის საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს გადავსცეთ გასარჩევადაო, ხოლო ეს წინადადება ჭკუაში არ მოუვიდა რუსეთის მთავრობას. ინციდენტი ჯერ არ გათავებულა.

# რუსეთი

**✦ საუნივერსიტეტო წესდება.** „კასპი“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: 15 აგვისტოს მოხდება კრება უნივერსიტეტების რექტორებისა და უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლის დირექტორებისა. კრებამ უნდა განიხილოს ახალი საუნივერსიტეტო წესდება.

**✦ გარტინგი და ბურცევი.** ბრიუსელის გაზეთებში დაბეჭდილი ყოფილა პროვოკატორ გარტინგის წერილი. გარტინგი, სხვათა შორის, სწერს, ტყუილია ყველაფერი ის რაც ჩემ შესახებ ბურცევმა გამოაქვეყნაო. რომ მე მართალი ვარ ამას ისიც ამტკიცებს, რომ აქამდის სახელმწიფო სამსახურში ვარო. გარტინგი წერილის ბოლოში ამბობს, გაზეთებმა გაავრცელეს ხმა, ვითომ მე ერთ გაზეთის კორესპონდენტისთვის მეთქვას, ერთ დროს ლანდეზენის გვარით ვცხოვრობდი მეთქი, ეს ხმა ყოველივე საფუძველსაა მოკლებული, ამისთანე რამ არავისათვის არ მითქვამსო!!

**✦ სენატორ პალენის რევიზიის შედეგი.** „რანეე უტრო“ იუწყება, რომ სენატორმა გრაფმა პალენმა უკვე დაამთავრა ტურკესტანის მხარის რევიზია. სენატორ პალენს უკვე შუამდგომლობა აღუძრავს, რომ სამსახურიდან დაითხოვეთ და სამართალში მიეცით ორი გუბერნატორი, 3 პოლიცმეისტერი და 6 ბოქაული, ამას გარდა დაითხოვეს და სამართალში მისცემენ 100 დაბალ მოხელეს. ყველა ამათ ქრთამის აღება და სხვა-და-სხვა ბოროტმოქმედების ჩადენა ბრალდებათ.

**✦ სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: მოსკოვში 1, ხარკოვში 2, კამენეც-პოდოლსკში 3, პეტერბურგში 1, სამარაში 1, უფაში 1, ეკატერინოსლავში 4 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ხარკოვში 1, რიგაში 1, ეკატერინოსლავში 2, ოდესაში 1, ჩეველში 1 კაცი.

**✦ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ დემონსტრაცია ტერიოკში.** როგორც მკითხველს მოეხსენება ამ დღეებში ტერიოკში უნდა გარჩეულიყო გერცენშტეინის მოკვლის საქმე, მაგრამ 12 აგვისტოსთვის გადაიდო. ამ დღისთვის ტერიოკში დუბროვინის ვექილ ბულაცელთან ერთად ტერიოკში წავიდა 62 „ჭეშმარიტი რუსი“. ყველა ესენი, ბულაცელის თხოვნით, გაუგზავნია „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მთავარ საბჭოს. ბულაცელს წინ-და-წინვე გამოუცხადებია, თუ დამცველები არ მეყოლება ვერ წავალო. მთავარ საბჭოსაც „კავშირის“ 62 წევრი გაუგზავნია და დღეში თვითო წევრისთვის თითო მანეთი მიუცია. ასე რომ „დემონსტრაცია“ კავშირს დასჯდომია 310 მანეთი!!

**✦ ბოქაული — ექსპროპრიატორი.** „რუსკ. სლ.“-ს სტავროპოლიდან ატყობინებენ: სტავროპოლის ბოქაულ დებაუის სამართალში აძლევენ. დებაუი სანამ ბოქაულობას მიიღებდა კიშინოვში ციხის ზედამხედველად მსახურებდა და აქ სხვა-და-სხვა დროს ექსპროპრიაციებში მონაწილეობა მიუღია. ყველა ამის შემდეგ დებაუსთვის მაინც ბოქაულობა მიუციათ!

**✦ ქალთა სალვთის-მეტყველო კურსები.** ამ რამდენიმე ხნის წინედ ქალების ერთმა ჯგუფმა მთავრობასთან შუამდგომლობა აღძრა, რუსეთის რომელიმე ქალაქში ქალებისთვის უმაღლესი სალვთისმეტყველო კურსები დაარსეთო. რუსეთის გაზეთები იუწყებიან, მთავრობამ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა და მომავალ სამოსწავლო წლიდან ქალაქ ყაზანში გაიხსნება ქალის უმაღლესი სალვთისმეტყველო კურსებიო.

**✦ საბუთიც ასეთი უნდა.** „რეჩი“ იუწყება: პეტერბურგის „სტაროობრიადცებს“ როგორც იყო დაუთმეს ახლად აღმოჩენილ წმიდანის ანნა კაშინელის ნაწილები. „სტაროობრიადცები“ მომზადებას შეუდგნენ, უნდოდათ წმიდა ნაწილები დიდის ამბით გადმოეტანათ პეტერბურგში, ყველაფერი მზად იყო, მაგრამ მოულოდნელად გლოკის ეპისკოპოსმა კირილემ შეატყობინა „სტარობრიადცებს“, ნებას არ გაძლევთ, რომ წმიდა ნაწილების გადმოტანის დროს რაიმე დღესასწაული გამართოთო. „სტარობრიადცებმა“ აკრძალვის მიზეზის გასაგებად ეპისკოპოსთან დეპუტაცია გაგზავნეს. დეპუტაციის შეკითხვაზე ეპისკოპოსმა უპასუხა: წმიდა ანნა კაშინელის ნაწილები ჩვენც ე. ი. მართლმადიდებლებმაც გადმოვიტანეთ მოსკოვში, მაგრამ გადმოტანის დროს ჩვენ არც ხალხი შეგვიყრია და არც რაიმე დღესასწაული გაგვიმართია, თქვენ რომ ამის ნება დაგრთოთ ხალხი იფიქრებს, მართლ-მადიდებლებს წმიდანები არა სწამთ და „სტარობრიადცები“ კი დიდის პატივისცემით ეპყრობიანო! „სტარობრიადცები“ ძალიან გაკვირვებულები არიან ამით. დიახამც, რომ გაჰკვირდებიან!!

**✦ სახელმწიფო სათათბიროს შრომის ჯგუფი.** „კასპ“ ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: სახელმწიფო სათათბიროს შრომის ჯგუფმა გარტინგის შესახებ აუარებელი მასალა შეჰკრიბა. შრომის ჯგუფს აზრად აქვს სახელმწიფო სათათბიროში შეკითხვა შეიტანოს.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ადგილი დაუთმოთ ამ წერილს თქვენ პატივცემულ გაზეთში. 9 მკათათვეს 1909 წელს გაზ. „ჩვენ აზრში“ დასტამბული იყო კორესპონდენტის წერილი ჩემს, როგორც ექიმის, მოქმედების შესახებ. რამ აიძულა კორესპონდენტი, სიმართლისთვის გადაეხვია, არ ვიცი. იძულებული ვარ, გადმოვქცეთ ინციდენტი სიმართლით და ავიცილო თავიდამ ცილის-წამება, რომელსაც „ჩვენი აზრის“ კორესპონდენტი მახვევს.

25 თიბათვეს სოფ. გვერდის-უბნის მცხოვრებმა გლეხმა, კვერნაძემ მიმიწვია ავადმყოფთან. სოფელი დაბა ხაშურზე მოშორებით არის და წაკედი ეტლით, ავადმყოფი რომ გავსინჯე, იმ დასკვნამდის მივედი, რომ შეიძლება ხოლერაც აღმოჩენილიყო. შარშან ზაფხულს, როდესაც მთელ ამიერ-კავკასიაში არსად არ იყო ხოლერა, სურამში გარდაიცვალა ხოლერით 15 კაცი. ხოლერა მაშინ მიკროსკოპიულმა გამოკვლევამ აღმოაჩინა. სურამზე სოფ. გვერდის-უბანი ახლოა, და რომ თავიდან ამეცილებინა ხალხისთვის მოსალოდნელი უბედურება, ჩემს მოვალეობად ჩავთვალე მამასახლისის პირით სამაზრო ექიმისათვის შემეტყობინებინა. ავადმყოფი მეორე დღეს გარდაიცვალა, სამაზრო ექიმი მოვიდა და გასჭრა მიცვალებული.

ვფიქრობ, რომ მე კარგად მოვიქეცი, როგორც ექიმი, და, რომ სხვანაირად მოვქცეულიყავი, ჩემს თავს მე თვითონ არ ვაპატიებდი. მაგრამ საიდან დაასკვნა კორესპონდენტმა, რომ მე ვიღაცაზე ჯავრს ვყრილობდი,—ვერ გამიგია და მის სინიდისისთვის მიმინდვია.

უცნაურია აგრეთვე კორესპონდენტის სიტყვები, ვითომ ავადმყოფის ძმისთვის მომეთხოვოს 8 მანეთი. საქმე ასე იყო: მე გასამსჯელო გადმომცეს 3 მანეთი, მეეტლეს მისცეს 2 მან. მე ხმა ამოუღებლივ წამოვედი სახლში და შინ მეეტლეს დაუმატე. რადგან იგი უკმაყოფილო იყო, 2 მანეთით. მეეტლის გვარი გეურქ ტარაშვილია და სიმართლის აღდგენა ყოველთვის შეიძლება.

თუ კორესპონდენტი ნიღაბს აიხდის, მე მზათა ვარ დავამტკიცო ზემო-ნათქვამის სიმართლე და კორესპონდენტის უცნაური საქციელი. **ექ. ა. მინასოვი.**


(2—6—2)

# განცხადებანი

# იძლევა

სადილები 12-დან 6 საათამდე, 27 ივლისიდან. მეჯვრის ქუჩ., № 36, მეორე საპ. ნაწ. პირდაპირ. სპეციალისტი მზარეული ა. ძნელაძე. იქვე შეიძლება სადილის ჰამა.

(1—1007—1)

◀ სიკვდილი ▶
# ბაღლინჯოებს!

ახალი საშუალება „კლოპოვინი“, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ წუთში, რისთვისაც პირობას ვაძლევ. ჯერ არა ყოფილა ამ გვარი ძვირფასი წამალი.

დარიგება თან ახლავს ფლაკონს. ფასი 35 კ. უგზავნით მსურველთ ფასდადებით. მოიკითხეთ „კლოპოვინი“ ახობაძისა. მთავარი საწყობი ტფილისი, ნეკრასოვის ქუჩა, № 14 და ვორონცოვის ძეგლთან. რათა სიყალბე არავინ ჩაიდინოს, კლოპოვინი იყიდება მხოლოდ ჩემ მაღაზიაში ტფილისისთვის. (15—ახ.—14)

პირველი კერძო სამკურნალო
# დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(გოლოვინის პროსპექტი)
ყოველ დღე, კვირების გარდა
**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებით, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**საღამოთი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევა ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—136)

# იძლევა
# იჯარით

თავ. ს. ს. ამირაჯიბის მამული ს. სალოლაშენში ხუთი ვერსის სიშორეზე სად. ქარელიდან: ვენახი, საბოსტნე ადგილი, სახნავი მამული 50 დესეტინა, თუნდა მეტიც, წისქვილი ოთხი თვალით და ყოველი საოჯახო შენობა თავის მოწყობილებით.

დაწვრილებით ცნობებისათვის მსურველმა მიმართოს: სავაჭრო სახლი კ. ვ. კალატოზოვს, გოლოვინის პროსპექტი, ს ხლი ქაშუეთის ეკლესიისა. (3—ეღ.—3)




ДАМЫ И ДѢВИЦЫ!
Если желаете всегда блистать
КРАСОТОЮ,
МОЛОДОСТЬЮ,
ЗДОРОВЬЕМЪ,
употребляйте непремѣнно
Кремъ „КАЗИМИ“ Метаморфоза.

Кремъ „КАЗИМИ“ БЕЗСПОРНО-РАДИКАЛЬНО удаляетъ ВЕСНУШКИ, УГРИ, ПЯТНА, МОРЩИНЫ, и дѣлаетъ кожу лица СВѢЖЕЙ И ЮНОЙ.

ПРОДАНО УЖЕ ОКОЛО **ДВУХЪ МИЛЛІОНОВЪ** БАНОКЪ.

Въ ТЫСЯЧАХЪ писемъ представительницы прекраснаго пола БЛАГОДАРЯТЪ Г. „КАЗИМИ“ за его блестящее изобрѣтеніе, СОХРАНИВШЕЕ И МНОГИМЪ ВЕРНУВШЕЕ ихъ обаяніе.

Для огражденія себя отъ покупки навязываемыхъ подражаній и фальсификатовъ обращайте особое вниманіе на слѣдующіе отличительные признаки Крема „КАЗИМИ“ Метаморфоза: 1) на внутренней сторонѣ банки бѣлую, рельефную подпись Cazimi 2) АНГЛІЙСК. ПАТЕНТЪ, 3) рисунокъ головки мальчика съ надписью „ВСЕРОССІЙСКАЯ ВЫСТАВКА 1896 г.“ и 4) приложенный къ банкѣ рисунокъ „ИСТОЧНИКЪ КРАСОТЫ“, утв. Департ. Торг. и Мануфакт. за № 4683.

(Метцль и К° N 6000)

# საბუღალტრო კლასსები
ი. ფონ-ბრენნერისა

დაარსებული 1890 წ. ტფილისში, ნაბერეჟნის ქ., ვერის ხიდთან.

სპეციალური საკომერციო სასწავლებელი ორივე სქესისთვის. მიიღებიან 15 წლისაზე არა უმცროსნი. ამ კლასსებში ამზადებენ ბუხჰალტრის, კორესპონდენტის, აგენტის და სხვა თანამდებობებზე მთავრობის, საზოგადოებრივ და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში. **სამაგალითო სასწავლებელი. საუკეთესო მასწავლებელნი.** 19 წლის განმავლობაში ათასობით ყმაწვილმა კაცმა გაათავა სწავლა, რომელთაც დღეს პასუხ-საგები ადგილები უჭირავთ. დაწვრილებით პროგრამებში. თხოვნების მიღება უკვე დაიწყო. სწავლა 15 სექტემბრიდან. კანცელარია ღიაა ყოველ დღე. (15—ბ.—5)

# !!!ავადმყოფთა საყურადღებოდ!!!

რადგან გაჩნდა ჯანმრთელობისთვის მავნებელი ყალბი სპერმინი, რომელსაც სხვა და სხვა სახელით ასაღებენ, საჭიროა ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოთ სახელს

# СПЕРМИНЪ ПРОФ. ДОКТОРА ПЕЛЯ
✦✦ SPERMINUM POEH ✦✦

და მოსთხოვეთ ის, რომელიც ჩაწყობილია **პროფესორ დოქტორის პელის და შვილების ორგანოთერაპევტიულ ინსტიტუტის** მიერ პეტერბურგში.

რუსულ და საზღვარ-გარეთელ ლიტერატურაში მეცნიერთა და ექიმთა მრავალი მეცნიერული გამოკვლევაა სპერმინის შესახებ. ამ გამოკვლევებიდანა სჩანს, რომ სპერმინი მეტად სასარგებლო წამალია **ნევრასტენიის, სქესობრივ უძლურების, მოხუცობის უძლურების, ისტერიის, ნევრალგიის, სისხლ-ნაკლებობის, ჭლექის, სიფილისის, ვერცხლის წყლის წამლობით შედეგის, ჭარების, გულის ავადმყოფობის** (სიმსივნის, გულის სკლეროზის, გულის ფრიალის, გულის კანკალის, მიოკარდიტის), **არტერიოსკლეროზის, ალკოჰოლიზმის, ხერხემლის ტვინის დასუსტების, სიდამბლის, სისუსტის, დაქანცულობის და სხვა ავადმყოფობის დროს.**

**ამ მეცნიერთა და ექიმთა წერილები ეხება მხოლოდ პროფესორ დოქტორ პელის სპერმინს.**

**სპერმინ-პელისა** იყიდება ყველა აფთიაქსა და დიდ სააფთიაქო მაღაზიაში: 1) კაპლების მსგავსად (Essentia Spermini-Poehl) 1 ფლაკონი—3 მ., აგრეთვე 2) ამპულებად კანქვეშ შესასხურებლად (Sperminum-Poehl pro injectione) 1 კოლოფი ოთხ შესხურებისთვის—3 მ. და 3) კლიზმებისთვის (Sperminum-Poehl pro clysm) 1 კოლოფი 4 კლიზმისთვის—3 მან.

უფასოდ იგზავნება წიგნი Цѣлебное дѣйствіе Спермина-Пеля (182 გვ.), რომელშიაც მოთავსებულია დაკვირვებანი რუს და უცხოელ ექიმებისა, აგრეთვე „Органотерапевтическій Сборникъ“ (მეორე გამოცემა), სადაც აღნიშნულია პროფესორ დ—რ პელის სხვა ორგანოპრეპარატები, ბ-ნ ექიმებისთვის, თუ მოითხოვენ, განსაკუთრებული სამეცნიერო ლიტერატურა.

**ორგანოთერაპევტიული ინსტიტუტი, ქიმიური ლაბორატორია და აფთიაქი**

◀ **პროფესორ დოქტორ პელის და შვილებისა** ▶

პეტერბურგში, ვასილ. კუნძ., 7 ლინია, ს. № 18-268.

უმაღლესი საჩუქარი (Grands Pris) ყველა მსოფლიო გამოფენაზე და საუკეთესო წერილები სამკურნალო ავტორიტეტისა.

(5—მეტ.—3) 78775.—Л. и Э. Метцль и Ко.


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.